

იმისთანა წმინდა საქმეში, როგორიც ბეჭდ-
ვითი სიტყვაა, ცრუობით და ჭორებით ბეჭ-
დვის გაცვანა ფეხლა უკადრისობაზე უსამართლოსია.


# საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ოთხშაბათი, 13 თებერვალი. 2023 წ. №17 (9549) ელ.ფოსტა: sakresp@top.ge და sakresp@mail.ru ფასი 1 ლარი


„ბუნება მბრძანებელია“!

## კოლაუ ნადირაძე იატაკზე დაჩოქილი ჩურჩულებდა: „ავე მარია! ავე მარია“!..



11 ყველაზე ძლიერი მიწისძვრა საქართველოში



ჯონდი ბაღათურია:

## ხაზე სასარგებლო იდიოტია!



③

## ხვიჩა კვარაცხელია თავისი ქვეყნის გამორჩეული სიყვარულით თამაშობს!



ხვიჩა კვარაცხელიას ვულოცავ დაბადების დღეს!

უფროსი თაობისგან გვსმენოდა, როგორ ელოდა მთელი საქართველო კვირიდან კვირამდე მიშა მესხის თამაშს, თამაშის დროს კი, მესხის მიერ ბურთის თითოეულ მიღებას, რადგან ყველამ იცოდა, რომ მას მოედანზე მარცხენა ფლანგიდან ყოველთვის რაღაც განსაკუთრებულის, გამორჩეული საფეხბურთო სილამაზის შექმნა შეეძლო. დღეს ეს განცდა, რომელიც ჩვენმა თაობამ მხოლოდ გადმოცემით იცოდა, ხვიჩა კვარაცხელიამ მთელი სიმძაფრით გაგვიცოცხლა და გვაჩუქა. ხვიჩა საქართველოსა და ქართულ ფეხბურთს სახელს უთქვამს მსოფლიოო მასშტაბით და ამას ის განსაკუთრებული პატრიოტიზმით, საკუთარი ქვეყნის გამორჩეული სიყვარულით აკეთებს. ხვიჩას ვუსურვებ უდიდეს წარმატებებს, რომლებსაც ის იმსახურებს როგორც გამორჩეული ფეხბურთელი და ასეთივე გამორჩეული ადამიანი!

**ირაკლი კობახიძე**

[illegible] შთანახატებიდან



ცნობილი ჟურნალისტი, სოციალურ მეცნიერებათა აკადემიერი დოქტორი, გრიგოლ რობაქიძის უნივერსიტეტის ქართული ემიგრაციის ისტორიისა და გეოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორი, პროფესორი პაატა ნაცვლიშვილი, რომელსაც არაერთხელ გაუკვირვებია საზოგადოება ორიგინალური მეცნიერული მიგნებებით, კიდევ ერთ საინტერესო პუბლიკაციას გვთავაზობს.

## გიორგი მეორისა, ანუ გიორგი ჭყონდიდელისა...

7 თებერვალს დავით აღმაშენებლის დაბადების დღეზე ვიყავი. 950 წლისა მოიყარა მეფე და წმინდანი. თხუთმეტნი ვუსხედით სუფრას „ბრიმ ჰოტელში“. არა მგონია, რომელიმე სასტუმროს, თუნდაც ეს მაღლა აზიდული „რედისონიც“ იყოს, ასეთი პანორამული ხედი ჰქონდეს თბილისზე. სამება ხომ სუფრის წევრივით გვიმშვენებდა მხარს. ცდა არ დაუკლია გულუხვ მასპინძელს გელოდი კობალაძეს. თამადა, რასაკვირველია, აკადემიკოსი როინ მეტრეველი იყო – დავით აღმაშენებლის საუკეთესო მკვლევარი და მთავარი გულშემატკივარი დღევანდელ საქართველოში. გვერდით აკადემიკოსი ვალერი ასათიანი მეჯდა, ჩემი სტუდენტობისდროინდელი მეგობარი. სწორედ მისი და როინ მეტრეველის წყალობით აღმოვჩნდი ამ ვიწრო საიუბილეო სუფრაზე. სპარტაკ ქობულიაც იქ იყო, იმ გაზეთის მთავარი რედაქტორი, რომელსაც ეს ჩემი შთანახატი უნდა გავუგზავნო დასაბეჭდად. იქ იყვნენ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, საქართველოს პოლიტექნიკური უნივერსიტეტისა და ანდრია პირველწოდებულის სახელობის უნივერსიტეტის რექტორები...

მეცნიერებათა აკადემიიდან მოვედით, სადაც დავით აღმაშენებლის იუბილესადმი მიძღვნილი სამეცნიერო კონფერენცია გაიმართა. სუფრა ჩვეული დიდოსტატობით წარმართა თამადამ. არაფერი სჯობდა მის მოსმენას, უძვირფასესი სადღეგრძელოები წარმოითქვა. მე კი ვერა და ვერ მოვიშორე კონფერენციიდან გამოყოლილი ფიქრები.

იხ. 6-7 გვ.

გველესიანთა საგვარეულო კავშირი გვარის დალოცვამდე შეიქმნა 2010 წელს. გვარი 2012 წლის 11 ნოემბრს დაილოცა სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის, უწმინდესისა და უნეტარესის ილია მეორის მიერ სამების საკათედრო ტაძარში.

გველესიანები მთელი საქართველოდან შეიკრიბნენ ტაძრის ეზოში და შედგა გვარის პირველი შეხვედრა... ამ დღიდან დაიწყო ასევე, წმინდა გიორგის საგვარეულო ხატის მოგზაურობაც საქართველოში... ეს დიდებული საქმე ითაოსნა არაჩვეულებრივმა ქართველმა და გვარიშვილმა, სამხარაულის ექსპერტიზის ბიუროს წამყვანმა ექსპერტმა ზურაბ გველესიანმა, რომლის ხელითაც შექმნილია ხატის ლამაზი ჩარჩო...



გველესიანები

⑤

# ძლიერი გვარი, ძლიერი ოჯახი ძლიერი ქვეყანაა




# ირაკლი ღარიბაშვილი:
## ბაკურიანში 270 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა, ველოდებით მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას!

**სამი ახალი საბაგირო ავაშენეთ, ექვსი ახალი ტრასა მოეწყო და 30 კილომეტრის მანძილზე ახალი გათოვლიანების სისტემა. ეს არის ყველაზე თანამედროვე სისტემა, რომელიც დამონტაჟდა ბაკურიანში,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა, 11 თებერვალს ბაკურიანში განაცხადა, სადაც ფრისტაილში, სნოუბორდსა და ფრისკიში 2023 წლის მსოფლიო ჩემპიონატის მოსამზადებელი სამუშაოები და ინფრასტრუქტურულ პროექტები დაათვალიერა.

**„მასშტაბური სამუშაოები განხორციელდა ჩვენი მთავრობის მიერ. სამი ახალი საბაგირო ავაშენეთ, ექვსი ახალი ტრასა მოეწყო და 30 კილომეტრის მანძილზე ახალი გათოვლიანების სისტემა. ეს არის ყველაზე თანამედროვე სისტემა, რომელიც დამონტაჟდა ბაკურიანში. ჩვენ ველოდებით მსოფლიო ჩემპიონატის დაწყებას, რომელიც ოფიციალურ სტარტს აიღებს 18 თებერვალს და 5 მარტამდე გაგრძელდება. დიდი პატივია, რომ ვუმასპინძლოთ ამ ჩემპიონატს. 42 ქვეყნის 700-მდე სპორტსმენი მიიღებს მონაწილეობას ჩემპიონატში. ყველაფერი, რაც აქ გაკეთდა, დარჩება ბაკურიანს და საქართველოს. ჯამში, 270 მილიონი ლარის ინვესტიცია განხორციელდა ჩვენი მთავრობის მიერ და ეს უნიკალური ინფრასტრუქტურა, თანამედროვე სისტემები მოეწყო იმისთვის, რომ ღირსეულად ჩავატაროთ მსოფლიო ჩემპიონატი.**

**ასევე გეტყვით, რომ ჩვენ დავიწყეთ მზადება 2025 წლის ახალგაზრდული ოლიმპიადის ჩასატარებლად. ვგეგმავთ, მოვაწყოთ, აღვადგინოთ ტრამპლინები, სხვა ძალიან მნიშვნელოვანი ინფრასტრუქტურა შეიქმნება ამ ოლიმპიადის ფარგლებში. ბაკურიანი უნდა იყოს მუდმივად მზად, რათა უმასპინძლოს ასეთი მაღალი დონის ჩემპიონატებს. რა თქმა უნდა, დამსვენებელი უნდა იყოს კმაყოფილი, როგორც ქართველი, ასევე უცხოელი და ჩვენ ყველას ეს გვახარებს. ასე, რომ გილოცავთ ყველას, საქართველო მზად არის, რომ უმასპინძლოს მსოფლიო ჩემპიონატს“...**

# „ნაციონალური მოძრაობა“ რაღაც კომიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა

**ჩვენი ხალხი ხედავს ყოველდღე, რომ ეს რადიკალურ-ექსტრემისტული პარტია რაღაც კომიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა,** – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა, ბაკურიანში განაცხადა.

მთავრობის მეთაურის თქმით, ყველა მათი უსუსური მცდელობა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ეს არის გაკოტრებული, დისკრედიტირებული და მარგინალიზებული რადიკალური ძალა.

**„ჩვენი ხალხი ამას ხედავს ყოველდღე, რომ ეს რადიკალურ-ექსტრემისტული პარტია რაღაც კომიკურ ორგანიზაციად გარდაიქმნა, მათ აირჩიეს ახალი თავმჯდომარე, მათი ყველა ეს უსუსური მცდელობა კიდევ ერთხელ მიუთითებს იმაზე, რომ ეს არის ყოვლად გაკოტრებული, დისკრედიტირებული და მარგინალიზებული რადიკალური ძალა. რა თქმა უნდა, ჩემთვის არ არის საინტერესო არც მათი აქციები, არც მათი უაზრო განცხადებები. ჩვენ მთავარი უნდა ვაკეთოთ – ჩვენ უნდა ვაკეთოთ საქმე, ვემსახუროთ ჩვენს ქვეყანას, ჩვენს ხალხს, რაც ჩვენს ქვეყანას სჭირდება, ის უნდა ვაკეთოთ მხოლოდ. ასე, რომ ჩემთვის ნამდვილად არ არის საინტერესო, ისინი რას გეგმავენ. ჯერ კიდევ ძალიან ბევრი საკითხია მოუგვარებელი, ჩემთვის მთავარია, რომ ყველა საკითხი გადავჭრათ, მოვაგვაროთ, და კიდევ უფრო ძლიერი და მაგარი ქვეყანა გვქონდეს, ვიდრე გვაქვს“...**

# მსოფლიოს მთავრობათა სამიტი დუბაიში

**საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი გუშინ არაბთა გაერთიანებულ საამიროებში გაემგზავრა. პრემიერ-მინისტრის პრესსამსახურის ინფორმაციით, მთავრობის მეთაური მონაწილეობას მიიღებს მსოფლიოს მთავრობათა სამიტში, რომელიც დუბაიში გაიმართება.**

**ირაკლი ღარიბაშვილი სიტყვით მიმართავს სამიტის მონაწილეებს. ვიზიტის ფარგლებში ასევე დაგეგმილია ორმხრივი მაღალი დონის შეხვედრების გამართვა.**

# თამარ ჩიბურდანიძე:
## კობახიძისნაირი ჭკვიანი რომ გყავდეთ, ქვეყანას არ ააოხრებინებდით...



„ხალხის ძალის“ წევრი **თამარ ჩიბურდანიძე** უკრაინის პრეზიდენტის ადმინისტრაციის მრჩევლის, მიხაილო პოდოლიაკის განცხადებასა და ირაკლი კობახიძის მიმართ გამოთქმულ კრიტიკას პასუხობს.

**„სიმართლე გითხრათ, არ ველოდი უკრაინის ისტორიის მქონე ქვეყანას ასეთი დაბალი განათლებისა და ზნეობის მქონე ხელისუფლება თუ ოდესმე ეყოლებოდა. ნებისმიერ სახელმწიფოს პრობლემა სწორედ ასეთი ხელისუფლების დროს ექმნება. რუსეთისთვის ეს მოცემულობა დიდი კოზირი იყო და გამოიყენა კიდეც. პოდოლიაკის ყველა განცხადება ისე შორსაა პოლიტიკისგან, როგორც თავად უკრაინა ნატოსგან.**

**უკრაინის მთავრობამ ელემენტარული პოლიტიკური გათვლა ვერ გააკეთა, ან არ გააკეთებინეს. ბევრი ფიქრი არ სჭირდებოდა იმას, რომ ევროკავშირში უკრაინას ომის გარეშეც მიიღებდნენ. ნატოში გასაწევრიანებლად კი, როგორც ვხედავთ, ასეთი საშინელი ომიც კი არ აღმოჩნდა საკმარისი. მყარი „არა“ ნატოს ხელმძღვანელობისგან უკვე ბევრჯერ მოვისმინეთ და ბუნებრივია, ასეც იქნებოდა. პოდოლიაკს მინდა ვკითხო, მაშინ რისთვის იბრძვით? რატომ ააოხრებინეთ ქვეყანა პირსისხლიან რუსეთს? განა არ იცოდით, რომ ხმამაღალი განცხადებები ნატოზე რუსეთისგან ომს მოგიტანდათ? განა ჩვენ არ გყავდით ამის მაგალითი? თუკი ნატოს კარი ნამდვილად ღია იქნებოდა თქვენთვის, მაშინ ამისთვის სისხლის დაღვრა ღირდა, მაგრამ ხომ უნდა გცოდნოდათ რეალობა?**

**ამის ანალიზი რომ გააკეთო და სწორი პოლიტიკა აწარმოო, განათლება და აზროვნება უნდა გქონდეთ, რასაც თქვენ ნამდვილად ვერ დაგაბრალებთ. ამას სწორად რომ აანალიზებს ჩვენი ქვეყნის ხელისუფლება, იმიტომ გადაარჩინეს ქვეყანა რუსეთისგან კიდევ ერთ უბედურებას.**

**მინდა გირჩიოთ, სახიფათოა თქვენთვის დღეს არსებული პიარ კამპანია – „მსოფლიო ტაშს გიკრავთ“. ნუ აჰყვებით ცდუნებას. მართალია, დღეს დასავლეთი ტაშს გიკრავთ, მაგრამ იმასაც უნდა ხვდებოდეთ, რომ ეს უპირველეს ყოვლისა, მათ სჭირდებათ. მათ გონიერება უჭრით და საკუთარი ინტერესებისთვის სწორად იქცევიან, მაგრამ თქვენ?**

**პოლიტიკა ის სფეროა, სადაც სიტყვა შედეგით იზომება. მიუხედავად თქვენი უზნეო ქმედებისა საქართველოს მიმართ, უფალს შევთხოვთ, რომ ამ ომში გაიმარჯვოთ. თქვენ არა, მაგრამ გმირი უკრაინელი ხალხი ამას იმსახურებს. რაც შეეხება ირაკლი კობახიძეს, მისნაირი მოაზროვნე რომ გყავდეთ, ქვეყანას არ ააოხრებინებდით არც რუსეთს და არც დასავლეთს. დღეს კიდევ ერთხელ დავრწმუნდით იმაში, რომ უფლის ყველაზე დიდი წყალობა ქვეყნისთვის ჭკვიანი ხელისუფლებაა“,** – აღნიშნავს თამარ ჩიბურდანიძე.

# ტვინნაღრძობი ოპოზიციის გასაგონად:
## საქართველო რომ ხელს უწყობდეს რუსეთს, საერთოდ არ მიიღებდა ქართულ დელეგაციას ამერიკული მხარე!..




**გადაწყვეტილება მიღებულია – საქართველოს შეეძლება, სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი სამხედრო შესაძლებლობები უფრო მარტივად მოითხოვოს და შეიძინოს** – ასეთია აშშ-ის თავდაცვის მდივნის, **ლოიდ ოსტინის** განცხადება, რომელმაც პენტაგონში ქართველ კოლეგას **ჯუანშერ ბურჭულაძეს** უმასპინძლა. მხარეებმა შეხვედრაზე განიხილეს აშშ-ის ვალდებულება, დაეხმაროს საქართველოს შეკავებისა და თავდაცვის შესაძლებლობის გაძლიერებაში. პენტაგონის შეფის განცხადებით საქართველომ დასავლეთთან კავშირები გააღრმავა და განამტკიცა გზა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ, ასევე, მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გლობალურ უსაფრთხოებაში.

**„საქართველო იყო ყველაზე დიდი კონტრიბუტორი ერთ სულ მოსახლეზე ჯარისკაცების რაოდენობით ავღანეთში, ნატოს მისიაში. ღრმად ვაფასებთ საქართველოს უდიდეს გავლენას სამხრეთ კავკასიასა და მთელ მსოფლიოში უსაფრთხოებისა და სტაბილურობის კუთხით. ჩვენი პარტნიორობა უსაფრთხოების სფეროში კვლავ გაღრმავდება.**

**საქართველოს მონაწილეობა საკონტაქტო ჯგუფში გვეხმარება, გავაძლიეროთ უკრაინის უნარი, დაიცვას საკუთარი თავი და გააძლიეროს წესებზე დაფუძნებული საერთაშორისო წესრიგი, რომელიც ყველა ჩვენგანის უსაფრთხოებას იცავს. და ეს გადამწყვეტია, რადგან უკრაინა აგრძელებს ბრძოლას და გაბედულად იბრძვის რუსეთის არაპროვოცირებული და უსამართლო შეჭრის წინააღმდეგ“,** – განაცხადა **ლოიდ ოსტინმა.**

აშშ-ისგან მიღებული გზავნილები კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოსა და ამერიკას შორის სტრატეგიული პარტნიორობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში უმაღლეს ნიშნულზეა.

აშშ-ში საქართველოს ელჩის, **დავით ზალკალიანის** განცხადებით, ამერიკელმა პარტნიორებმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატეს იმ მხარდაჭერისა და იმ კონტრიბუციისთვის, რომელიც საქართველომ და ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა შეიტანეს გლობალური უსაფრთხოების გამოწვევის წინააღმდეგ ბრძოლაში.

№17. ორშაბათი, 13 თებერვალი, 2023 წელი.



# ხაზე სასარგებლო იდიოტია!



**ვინ არის ქართულ პოლიტიკაში „სასარგებლო იდიოტი“, არის თუ არა უკრაინა დაინტერესებული, საქართველომ კანდიდატის სტატუსი არ მიიღოს, რამდენად ახლოა რეალობასთან, რომ პოლონეთის საზღვარზე რუსეთმა ანტისარაკეტო და სარაკეტო სისტემები განათავსოს და ვისთან მიდის ე.წ. „ატკატები“ უკრაინიდან დასავლეთში? – ამ თემებზე ყოფილი დეპუტატი, „ქართული დასის“ ლიდერი ჯონდი ბაღათურია გვესაუბრება.**

**„დაადონ ყადაღა ალასანიას ანგარიშებს და დავინახავთ, რამდენ განცხადებას გააკეთებენ მერე ეს კოლექტიური კუბილიუსები“...**



**– თქვენი აზრით, რა შედეგებს ელის „ნაციონალური მოძრაობა“ დაანონსებული ეროვნული მოძრაობის დაწყებიდან, რეგიონებში მიმდინარე აქციებიდან და რევოლუციური სცენარიდან, რაზეც პარტიის თავმჯდომარე ლევან ხაზეიშვილი საუბრობს? ესეც მკვდარი პროცესია თუ მცირედი სარგებელი მაინც ექნებათ?**

– ასეთი ტერმინი არსებობს „სასარგებლო იდიოტი“.

**– ხაზეიშვილია სასარგებლო იდიოტი?**

– ივანიშვილისთვის ხაზეიშვილი ნამდვილად სასარგებლო იდიოტია. მართლა არ გამიკვირდება, ხაზეიშვილი პარტიულ არჩევნებში ხელისუფლების გაყვანილი იყოს. არ მიყვარს შეთქმულების თეორიები, თუმცა, თუ ხელისუფლებას შეეძლო ზეგავლენა მოეხდინა ამ პროცესზე და თუ ეს არ გამოიყენა, შეცდომა იქნება. მაგრამ, ყველაფერს ისე აკეთებს, როგორც ხელისუფლებას სჭირდება, ყველა მისი განცხადება, საზოგადოებაში გულისამრევი და ზიზღის გამომწვევია, რაც, რა თქმა უნდა, ხელისუფლების წისქვილზე უწვებს წყალს. ამიტომ, თუ გავიგებთ, რომ ხელისუფლება დაეხმარა, არ გამიკვირდება. თუმცა, არ მინდა შეურაცხყოფა მივაყენო. „სასარგებლო იდიოტი“ ნიშნავს ადამიანს, რომელიც თავისი უცოდინრობის გამო, უნებლიეთ აკეთებს იმ საქმეს, რომელიც შენ გჭირდება. ეს არის „სასარგებლო იდიოტის“ განმარტება. ამაზე უფრო სასარგებლო იდიოტს, ვერც ივანიშვილი და ვერც „ქართული ოცნება“, აშკარად ვერ იშოვიდა.

**– დაშლილ-გაშლილი „ნაციონალური მოძრაობიდან“, პოლიტსაბჭოს წევრებიც კი განზე გადგნენ. რა შედეგს მიიღებს ყოფილი სახელისუფლო პარტია ბრძოლის არჩეული მეთოდით, რომლის ახალ თავმჯდომარეს, პოზიციაზე ყოფნის ვადაც კი 2 წლამდე შეუმცირეს?**

– აქ დასასრულია. წერტილი უკვე დასმულია. ხაზეიშვილი თვითონაა წერტილი. ეს კინო მორჩა. აქ ბევრი გამოცდილი პოლიტიკოსია, მაგრამ ვერ ვხედავ ქარიზმატულ ლიდერს. ესენი უფრო ინტრიგის, კულუარების და არჩევნების ტექნოლოგიების სპეციალისტები არიან. მე ვერ ვხედავ ისეთ ფიგურას, რომელმაც შეიძლება ხმების შეგროვება შეძლოს და საზოგადოებაში ნდობა გამოიწვიოს. მიშას ფანები – პოლიტიკური სექტა, რამდენიმე პროცენტია. ყველა განცხადებას სააკაშვილით იმიტომ იწყებენ და ამთავრებენ, რომ საბაზისო ეს ხმებია – 3%-4%, შეიძლება მეტიც არ იყოს. უნდათ, სააკაშვილის ეს ელექტორატი შეინარჩუნონ. დანარჩენი ხმები, რომელსაც „ნაცმოძრაობა“ იღებდა, ეს იყო საპროტესტო ელექტორატი, ანუ მათი მომხრეები კი არ აძლევდნენ ხმას, არამედ ივანიშვილის მოწინააღმდეგეები. ვგულისხმობ საზოგადოების იმ ნაწილს, რომელიც ივანიშვილზე და „ნაცმოძრაობაზე“ განაწყენდა. სხვათა შორის, დიდი ნაწილი ხელისუფლებაზე სწორედ იმიტომ განაწყენდა, რომ „ნაციონალური მოძრაობა“ არ გაანადგურეს. ეს ხალხი რევანშისტულად განეწყო ხელისუფლების მიმართ, დაიწყო რევანშისტული ფიგურის და პილიტიკური ძალის ძებნა და ეძებდა არა კარგს, ვინც მას მოსწონდა, არამედ ძლიერს, რომელშიც შურისძიების საშუალებას ხედავდა. ეს იყო „ნაცმოძრაობა“. ახლა ესეც დაკარგეს. „ნაცმოძრაობა“ უკვე არა მარტო საზიზღარია, არამედ სერიოზულიც აღარ არის. ეს პარტია უკვე გაშარჟებულია. ამიტომ, როცა პოლიტიკური ფიგურა ან პოლიტიკური პარტია ამ კომპონენტს კარგავს, შენ შეიძლება უყვარდე ან სძულდე, მაგრამ არ უნდა იცინოდნენ, არასერიოზულად არ უნდა გიყურებდნენ.

**– რამდენად შეუშლის ხელს საქართველოს კანდიდატის სტატუსის მიღებაში დასავლეთის პოლიტიკოსების მხრიდან სააკაშვილთან დაკავშირებული განცხადებები და შეკვეთილი სტატიები, თითქოს აქ ყოფილ პრეზიდენტს აწამებენ და გამიზნულად კლავენ?**

იხ. 11 გვ.

**რატომ ეცოდება ჯონდი ბაღათურიას ზელენსკი?!**



**„თავდაცვის მინისტრ ჯუანშერ ბურჭულაძის აშშ-ში ვიზიტი უაღრესად მნიშვნელოვანი და დროული ვიზიტია. ჩვენ გვქონდა ძალიან საინტერესო და შინაარსიანი შეხვედრა პენტაგონში, აშშ-ის თავდაცვის მდივანთან. გზავნილები, რომლებიც ჩვენ მივიღეთ აშშ-ისგან, კიდევ ერთხელ ადასტურებს, რომ საქართველოსა და ამერიკას შორის სტრატეგიული პარტნიორობა თავდაცვისა და უსაფრთხოების სფეროში უმაღლეს ნიშნულზეა.**

**ამერიკელმა პარტნიორებმა განსაკუთრებული მადლიერება გამოხატეს იმ მხარდაჭერისა და კონტრიბუციისთვის, რომელიც საქართველომ და ჩვენმა შეიარაღებულმა ძალებმა შეიტანეს გლობალური უსაფრთხოების გამოწვევის წინააღმდეგ ბრძოლაში. დღევანდელი უსაფრთხოების გარემო, თანამშრომლობა, რომელიც გვაქვს აშშ-თან, დარწმუნებული ვარ, ამ შეხვედრის შემდეგ კიდევ უფრო მეტი დინამიზმით იქნება გამორჩეული“,** – განაცხადა **დავით ზალკალიანმა.**

თავდაცვის მინისტრის ვიზიტი ამერიკაში და გზავნილები, რომელიც სტრატეგიული პარტნიორისგან მიიღო, ცხადყოფს, რომ რუსეთის მიერ ოკუპირებულმა საქართველომ გააღრმავა კავშირები დასავლეთთან და განამტკიცა თავისი გზა ევროატლანტიკური ინტეგრაციისკენ, რომელმაც ამ დროის განმავლობაში მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა გლობალურ უსაფრთხოებაში.

პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარის, **ნიკოლოზ სამხარაძის** განცხადებით, თავდაცვის მინისტრის აშშ-ში ვიზიტი მეტყველებს, რომ ევროატლანტიკური სივრციდან საქართველოს არანაირი დაშორება არ ხდება. მისივე თქმით, პენტაგონის პირველი პირის განცხადებები მეტყველებს იმაზე, რომ საქართველო ამერიკისთვის სანდო პარტნიორია.

**„ამერიკის თავდაცვის მინისტრმა ძალიან დამაიმედებელი განცხადებები გააკეთა. მისასალმებელია განცხადება, განსაკუთრებით საქართველოსთვის იარაღის მიყიდვის გაიოლების მიმართულებით. რა თქმა უნდა, ეს იმაზე მეტყველებს, რომ საქართველო ამერიკისთვის ძალიან სანდო პარტნიორია. ასევე ხაზგასმული იყო ჩვენი წვლილი მსოფლიო უსაფრთხოებაში. მისასალმებელია, როცა ამერიკული მხარე აფასებს საქართველოს წვლილს ნატოს მისიებში – იქნება ეს კოსოვოში, ერაყში თუ ავღანეთში. საქართველოს თავდაცვის მინისტრის ვიზიტი მეტყველებს, რომ ევროატლანტიკური სივრციდან საქართველოს არანაირი დაშორება არ ხდება. ეს კარგად დაგეგმილი დეზინფორმაციული კამპანიის შედეგია. ერთ-ერთი გამოწვევაა გამკლავება დეზინფორმაციასთან, რაც მიზნად ისახავს ჩვენი ქვეყნის იმიჯის დაზიანებას დასავლეთში“,** – აღნიშნა **ნიკოლოზ სამხარაძემ.**

პოლიტოლოგი **რამაზ საყვარელიძე** თვლის, რომ თავდაცვის მინიტრის ვიზიტი აშშ-ში საყურადღებო ფრაგმენტია ქართული პოლიტიკური პროცესებისთვის, თუნდაც იმიტომ, თუ რა საკითხი წამოწიეს ოპოზიციამ და უკრაინამ, რომ საქართველო ხელს უწყობს რუსეთს. პოლიტოლოგის განცხადებით, საქართველო რომ ხელს უწყობდეს რუსეთს, ვიზიტის გაუქმება საკმაოდ მარტივია.

**„საერთოდ არ მიიღებდა ქართულ დელეგაციას ამერიკული მხარე. ამავე დროს, საქართველოს რომ ფეხი ჰქონდეს გადგმული იმ პროცესებში, რასაც აზრალებენ – სანქციების შემოვლა და ა.შ. დასავლეთი არც ტრანზიტის გზების აქეთ გადმოტანაზე დათანხმდებოდა, რაც აზერბაიჯან-საქართველოს მონაწილეობით ხდება და არც საქართველოდან მწვანე ენერგიის გატანაზე იქნებოდა თანახმა. ასე რომ, დასავლეთის პარტნიორობის ერთ-ერთი რგოლია ეს ვიზიტიც.**

**საქართველო რომ რუსული ხაზის გამტარებელი იყოს, წესით ეს მოძრაობები დასავლეთის მხრიდან არ უნდა ყოფილიყო, ისევე როგორც არ არის ბელარუსის მიმართ. არადა, ჩვენი ოპოზიცია ხშირად ახსენებს, რომ საქართველო და ბელარუსი ხელს უწყობენ პუტინს. თვითონ დასავლეთი ასე არ ფიქრობს და დეგნანის ბოლო ინტერვიუც ხაზს უსვამდა იმას, რომ საქართველოს ეკონომიკურ და პოლიტიკურ საქმიანობაში არანაირი ხინჯი არ შეიმჩნევა, რომელიც მიუთითებდა მის რაიმე კავშირს რუსეთთან“,** – ამბობს საყვარელიძე.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველო არ აქტიურობს იარაღის მოთხოვნაში, პოლიტოლოგი თვლის, რომ ასეთი მორიდებული შეიარაღებით მეორე ფრონტი გამორიცხულია.

**„ოპოზიცია იმასაც საყვედურობდა საქართველოს რაღაცა შეიარაღებას გვაძლევდნენ და უარი თქვესო. აშკარად არ უნდა საქართველოს ძალიან მკვეთრი ნაბიჯები გადადგას შეიარაღების მიმართულებით იმიტომ, რომ ეს, რა თქმა უნდა, გააჩენს იმ ეჭვს, რომ თუკი შეიარაღებას იღებს საქართველო, მაშინ ის რუსეთის წინააღმდეგ იქნება მიმართული, რადგან სხვა მტერი საქართველოს არ ჰყავს. ასე რომ, აქაც არ მიკვირს საქართველოს სიფრთხილე და არც ის მიკვირს, რომ ძალიან დიდ რაოდენობას არც ამერიკა არ გვთავაზობს...**

თამთა ქარჩავა

(პირველი გვერდიდან)

ხატს აწერია: **„წმინდაო გიორგი, ევედრე ქრისტესა ღმერთსა, გაიღოს წყალობა, მადლი და მშვიდობა სრულიად გველესიანთა საგვარეულოზე“.**

ღვთის ნებით, ხატი აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულამდე იყო ზესტაფონშიც, ვასო და ზურაბ ზურაბის ძე გველესიანების, აგრეთვე, ჩემს ოჯახში (თამარ და რუსუდან ბიძინას ასული გველესიანების ოჯახში)... გადაწყდა, 2012 წლის 24 აპრილს ხატი აგვებრძანებინა ზესტაფონის სოფელ სამებაში - დიდ განთიადში. ერთმა გველესიანმა ბრძანა: ხატს მანქანით ატანას ვერ ვაკადრებთ, ფეხით ავაბრძნოთო და დილის 5 საათზე შევიკრიბეთ წმინდა გიორგის სახელობის ტაძრის ეზოში... და დაიწყო სასიამოვნო მსვლელობა ტაძრიდან ტაძრამდე... ეს იყო ერთ-ერთი ყველაზე ნათელი დღე თითოეული ჩვენგანისთვის, რომელიც ასევე სასიამოვნოდ დასრულდა მერაბ სიმონის ძე გველესიანის ოჯახში...

**გვარის ფუძე:** გველესა – კნინობითი ფორმა ქართული წინაქრისტიანული საკუთარი სახელისა გველა, რომელიც უკავშირდება ქართულ სიტყვას გველი.

**გველესიანთა ბუდე** – პირველსაცხოვრისი ზემო იმერეთშია.

**წარმომავლობა:** სვანური წარმომავლობის გვარი, რომელმაც მიგრაცია განიცადა მთელ საქართველოში, გვხვდებიან როგორც სვანეთში, ასევე ლეჩხუმში, იმერეთში, კახეთში.გადმოცემით, გველესიანთა წინაპარი ზემო იმერეთში ლეჩხუმიდან მოსულა. ასევე ლეჩხუმიდან წასულა სამეგრელოში გვასალიათა წინაპარი, რომელიც გველესიანთა წინაპრის მოძმე და განაყარი ყოფილა. იმერელი გველესიანები და მეგრელი გვასალიები ერთმანეთში ქალს არ ათხოვებენ. გველესიანი აზნაურული გვარია.

**ხსენება:** 1550-1570 წლების აბაშიძეთა ერთ შეწირულობის წიგნში მიჯნად დასახელებულია „გუელესიანის საზღუარი“. საუბარი ეხება არგვეთში აბაშიძეთა მიერ ეკლესიისთვის შეწირული მამულის საზღვრებს.

XVII-XVIII საუკუნეთა სხვა საბუთების მიხედვით, იმერეთის სამეფოში გველესიანები ჩანან სააბაშიოს და საწერეთლოს მამულებში. XVIII საუკუნიდან გველესიანები კახეთშიც გამოჩნდნენ. იოანე ბატონიშვილის ცნობის მიხედვით, ისინი მეფე თეიმურაზ II-ის დროს გადმოსულან იმერეთიდან.

1774 წლის სიგელით მეფე ერეკლე II-მ შიდა კახეთის სოფელ შალაურში მამული უბოძა აზნაურ გველესიანს: **(მამული გველესიანისთვის მიგვიცია და დაგვისახლებია... „გველესიანს ჩვენ უზამთ კაცის წყალობას, თუ თვითონ გველესიანი მოიყვანს კაცსა, ამ მამულზე უნდა დაასახლოს. სხვა ვერავინ შეეცილება“.** შალაურელი გველესიანები კახეთის სამეფოში აზნაურის სტატუსს ფლობდნენ. 1827 წლის გენერალ ერმოლოვის წერილის მიხედვით, იმერელი აზნაურის დავით გველესიანის ასულს მარიამს, რომელიც იმერეთის ბატონიშვილის, დარეჯანის აღზრდილი ყოფილა, რუსეთში იძულებით გადასახლებული ბატონიშვილის გარდაცვალების შემდეგ დაენიშნა პენსია - 600 მანეთი ვერცხლით.

**მსახურება:** ღვთისა და საქართველოსთვის გველესიანთა გვარის მეომრები ქუდზე კაცად გამოდიოდნენ იმერეთის სამეფო ლაშქრის მემარჯვენე და კახეთის სამეფო ლაშქრის შუაგულ სადროშოებში.

**საკუთვნო:** „გველესიანების სერი“ - საძოვარი სოფელ ხორითში „ხარაგაულის რაიონი“, „გველესიანისოული“ - ვენახი სოფელ თვრინში და ქვედა საქარაში (ზესტაფონის რაიონი), „გველესიანის - სერი“ სოფელ ჩხერში (ხარაგაულის რაიონი), „გველესიანის წყარო“ სოფელ განთიადსა და სოფელ წყალაფორეთში „ხარაგაულის რაიონი“, „გველესიანოური“ – საძოვარი სოფელ რგანში „ჭიათურის რაიონი“, „გველესიანის ტყე“ სოფელ დიდ განთიადში (ზესტაფონის რაიონი), „გველესიანების წისქვილი“, „გველესიანების უბანი“ – სოფელ სხლითში (ხარაგაულის რაიონი).

**განსახლება:** ამჟამად გველესიანები ცხოვრობენ: ზემო იმერეთში, სამეგრელოში, სამცხეში, ქართლში, შიდა კახეთში და ჰერეთში. გველესიანები საფრანგეთის ქართულ ემიგრაციაშიც იყვნენ.

განსაკუთრებით მრავლად არიან ზესტაფონის, ჭიათურის, თერჯოლის, ხარაგაულის, ტყიბულის რაიონებში.

გველესიანთა საერთო რაოდენობა 2700 სულს აჭარბებს.



# ძლიერი გვარი, ძლიერი ოჯახი ძლიერი ქვეყანაა

**2013 წლის 24 ნოემბერს,** ბაღდათის რაიონში, სოფელ დიმში ეკურთხა წმინდა ნინოს სახელობის მონასტერი, რომელიც აშენდა და მოიხატა მეცენატის და ბიზნესმენის, გია გველესიანის თაოსნობით და შემწეობით, მის მამულში, რომელიც საკუთრებაში გადასცა მონასტერს. 2014 წლის ივლისში ჩემი ჩართულობით შედგა ჩვენი საგვარეულოს ნიჭიერი შვილის, პოეტ საშა გველესიანის წიგნის წარდგენა და შემოქმედებითი საღამო: **(ჯიში მაქვს ისეთი, სიცილი მიხდება),** 2015 წლის ნოემბერში გაიმართა, ჩვენი სასიქადულო ლოტბარის ომარ გველესიანის შემოქმედებითი საღამო, რომელსაც გველესიანთა საგვარეულოს ღირსეული შვილები ესწრებოდნენ.

**2015 წლის 23 ნოემბერს** გვარი მეოთხედ შეიკრიბა თბილისში და გადაწყდა: საიუბილეო, მეხუთე შეხვედრა შემდგარიყო იმ ქალაქში, სადაც თბილისის მერე რაოდენობით ბევრნი ცხოვრობდნენ გველესიანები...

**2016 წლის 19 ნოემბერს** შედგა ისტორიული შეხვედრა ზესტაფონის კულტურის ცენტრში, სადაც წარმოვადგინეთ ისტორიული მასალები, მოძიებული საპატრიარქოს არქივიდან (დაგვეხმარა მღვდელი ზურაბ გველესიანი) იმ გველესიანების შესახებ, რომლებიც ემსახურებოდნენ მართლმადიდებლურ ეკლესიას და გავიხსენეთ ცნობილი, გარდაცვლილი გველესიანები. აგრეთვე ისინი, ვინც დღემდე წარმატებით მოღვაწეობენ. ამ საღამოსთვის დავიწყე ძიება: (**რანი ვართ, რანი ვიყავით და საით მივდივართ)...** სწორედ ამ შეხვედრაზე გადაწყდა, მე მეხელმძღვანელა ჩვენი საგვარეულოსთვის. მანამდე კი კავშირს ხელმძღვანელობდნენ ზურაბ გველესიანი, რომელზედაც უკვე მოგახსენეთ და სულხან გველესიანი, ოპერის ცნობილი მომღერალი, ბარიტონი, არაერთი კონკურსის გამარჯვებული და ჯილდოს მფლობელი, ღირსეული მუსიკალური ოჯახის წინამძღოლი და ნათელი, კეთილშობილი კაცი. იყო უდიდესი ემოცია. ამას შთაბეჭდილებათა წიგნიც ადასტურებს. ასევე ის ალბომები, რომელიც გაკეთდა და სამუზეუმოდ ინახება.

2017 წლის გიორგობას, შევიკრიბეთ ჭიათურაში. მამაჩემს, ბიძინა გველესიანს სულ ჰქონდა ოცნება, ავეყვანე რგანში და მენახა ჩვენი დიდი წინაპრების ადგილ-მამული. ავასრულე მისი ეს ოცნება, სამწუხაროდ მისი გარდაცვალების შემდეგ... მე გავიცანი ჩემი გვარის უნიჭიერესი, გულღია, კაცთმოყვარე, მომღერალი გველესიანები, ერთი სისხლის და ფუძის შვილები, შესაბამისად ჩემთვის ყველაზე ემოციური შეხვედრა იყო ჭიათურაში.



ზურაბ გველესიანი – საგვარეულოს წინამძღოლი 2010-2015 წწ



სულხან გველესიანი – საგვარეულოს კავშირის წინამძღოლი 2015-წწ-დან.

არ შეიძლება ახსენო რგანი და დაივიწყო გვარის ღირსეული შვილი, ცნობილი ლოტბარი სოლომონ (ბიჭიკო) გველესიანი, რომელიც დაიბადა 1913 წელს. გარდაიცვალა 48 წლის ასაკში. მისი ჩამოყვანა თბილისში, საქართველოს სახელმწიფო სიმღერისა და ცეკვის ანსამბლში, უკავშირდება ცნობილ დავით კავსაძეს. სწორედ სოლომონ გველესიანი გახლდათ დავით კავსაძის ის ღირსეული და ერთგული მეგობარი, რომელმაც დავითის დასჯის შემდეგ იმ სასტიკ წლებში არ მიატოვა კავსაძეთა ოჯახი და ბოლომდე პატრონობდა მათ. სოლომონ გველესიანის სახელს უკავშირდება ბევრი მივიწყებული, ქართული ხალხური სიმღერის აღდგენა და გადარჩენა.

**2018 წელს შევიკრიბეთ ბაღდათში,** მოვინახულეთ უკვე მოხატული, საგვარეულო ტაძარი. მადლობა ვუთხარით უფალს ყველაფრისთვის. პანდემიის გამო ჩვენი შეხვედრები დროებით შეჩერდა, თუმცა ერთმანეთის ჭირის და ლხინის გაზიარებას მუდმივად ვახერხებთ. შეიქმნა საგვარეულოს ალბომები, ვამზადებთ მასალებს წიგნისთვის... წინ ბევრი გეგმები და საინტერესო შეხვედრები გველოდება.

* * *

ქართული მართლმადიდებლური ეკლესია და გველესიანები!

**ისინი ბევრნი არიან, ყველას ჩამოთვლას ერთი საგაზეთო წერილი არ ეყოფა.**

**ბესარიონ გველესიანი, ნიკიფორეს ძე,** მღვდელი, 1880-1881 წლებში კვალითში თავისი ხარჯებით სკოლა ჰქონდა გახსნილი. ყველგან, სადაც გადაჰყავდათ, ხსნიდა სკოლებს.

**გიორგი სეხნიას ძე გველესიანი** (1788-18.04.1836) - მღვდელი, მსახურებდა შრომის წმინდა გიორგის ტაძარში.

**დავით გრიგოლის ძე გველესიანი** - მღვდელი. მსახურებდა შრომის ღთისმშობლის მიძინების, კვალით-გაენათის წმინდა გიორგის ეკლესიაში.

**დავით მარკოზის ძე გველესიანი** (1766-4.01.1837) - მღვდელი.

**თეოდორე ბესარიონის ძე გველესიანი** – დეკანოზი. 1944 წლიდან ქუთაისის საკათედრო ტაძარში მსახურობდა, 1952 წლის 1 ნოემბრიდან ბათუმის წმ. ნიკოლოზის საკათედრო ტაძრის წინამძღვრად დაინიშნა.

**იაკობ იორამის ძე გველესიანი** - დეკანოზი. 1893 წლის 4 ივნისს სანახშირის წმ. გიორგის ეკლესიაში გადაიყვანეს. 1896 წლის 17 დეკემბერს იმერეთის ეპარქიის შორაპნის მაზრის განყოფილების წევრად აირჩიეს. 1897 წელს სასულიერო დეპუტატად აირჩიეს. 1899 წელს ალისუბნის სკოლის აღმშენებელი კომიტეტის წევრია. 1920 წელს მონაწილეობდა საქართველოს სამოციქულო მართლმადიდებელი ეკლესიის მეორე საეკლესიო კრების მუშაობაში. 1921-1922 წლებში შორაპნის ოლქის მთავარხუცესია.

**იოანე ესტატეს ძე გველესიანი** - მღვდელი. შრომის ღვთისმშობლის მიძინების ტაძარი.

**მღვდელი ზოსიმე გველესიანი იყო** საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოების წევრი.

მისი შთამომავალი, **დავით გველესიანი** წლების განმავლობაში გახლდათ ჭორჯიან მანგანეზის დირექტორთა საბჭოს წევრი, იყო წარმატებული მმართველი და უკეთილშობილესი კაცი, სამწუხაროდ, ის შარშან გარდაიცვალა. მღვდელ ზოსიმეს წიგნი „მარგვეთისა და უბისის ეპარქიის ეკლესიები და სამღვდელოება“ გამოსაცემად დააფინანსა ზესტაფონის მუნიციპალიტეტის მერმა და ფეროს ქარხნის დირექტორმა წლების განმავლობაში, ვასილ გელესიანმა.

**ცოცხლები, ვინც მსახურებაში არიან:**

**აბიბო გველესიანი – ბერ-დიაკონი,** ბერად აღიკვეცა 23 წლისა! მსახურობს ნეკრესის ეპარქიაში, ყვარელში.

**მღვდელი მამა ზურაბ გველესიანი.** საჩხერის საკათედრო ტაძრის მღვდელი.

**კრწანისის დედათა მონასტრის წინამძღვარია, იღუმენია თეკლა.** (ერში თამარ) **გველესიანი**.

**ცნობილი გველესიანები შევარჩიე, ისინი, ვინც ღირსეულად მოიხადეს ვალი ღვთისა და ერის წინაშე, დატოვეს ისტორია და გარდაცვლილები არიან:**

**თინა გველესიანი** - მთარგმნელი და მწერალთა კავშირის წევრი. საბჭოთა რეჟიმის მიერ სამჯერ დაპატიმრებული და მწერალთა კავშირის ერთ-ერთი რეპრესირებული ქალი;

**გრიგოლ გველესიანი** - ქართველი პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი.

1918 წლიდან გრიგოლ გველესიანი საქართველოს დემოკრატიული

რესპუბლიკის მთავრობაში მუშაობდა. გახლდათ იუსტიციის მინისტრის მოადგილე და მას, როგორც ღრმად განსწავლულ იურისტს, საქართველოს რესპუბლიკის პირველი კონსტიტუციის პროექტის შემუშავება დაევალა და ეს დავალება მან წარმატებით შეასრულა.

1919 წლის 7 ოქტომბერს დამფუძნებელმა კრებამ საქართველოს სენატის წევრად აირჩია. იყო ჯერ სენატის თავმჯდომარის მოადგილე, ხოლო შემდეგ თავმჯდომარე. მუშაობდა სენატის სამოქალაქო საკასაციო დეპარტამენტში.

1921 წლის თებერვალში გრიგოლ გველესიანმა უარი განაცხადა ემიგრაციაში წასვლაზე. გასაბჭოების შემდეგ მუშაობდა სხვადასხვა თანამდებობებზე.

დაკრძალულია მწერალთა და საზოგადო მოღვაწეთა დიდუბის პანთეონში.

**რომანოზ ნიკოლოზის ძე გველესიანი** – ქართველი ფერმწერი და გრაფიკოსი. 1881-1884 წლებში სწავლობდა პეტერბურგის სამხატვრო აკადემიაში. ის ნაადრევად გარდაიცვალა.

**საშა გველესიანი** – პოეტი, მსახიობი, რეჟისორი, 4 წიგნის ავტორი, კაცი, რომელიც მომავალი თაობის განათლებას დიდ დროს და ენერგიას ახმარს:

ზოგადად, გველესიანების როლი დიდია ქართველთა შორის წერა-კითხვის გავრცელებისა და განათლების საქმეში. ამას ისტორიული წყაროები ადასტურებს. 1921 წელს სწორედ ამ საზოგადოების წევრებად, თბილისის განყოფილებაში, საარქივო მასალებში იძებნებიან დები: ეთერ და ლუბა გველესიანები, ლავრენტი ივანეს ძე გველესიანი, ნინო გველესიანი.

**ძვირფასო გვარიშვილებო!**

ამ მცირე საგაზეთო წერილში ვეცადე გამეხსენებინა ისინი, ვინც დაგვიტოვა მნიშვნელოვანი მემკვიდრეობა. ჩვენ ძლიერ ფესვებზე ვდგავართ. ჰაინრიხ ბიოლი ამბობდა: **„ჩვენ ძალიან შორიდან მოვდივართ და გადასასვლელი კიდევ დიდია...** ბევრი გველესიანია წარმატებული სამედიცინო სფეროში, თუმცა ხშირად გამიგია, ხელოვანთა და მომღერალთა გვარი ხართო... ვინ იფიქრებდა, ჰამლეტ გონაშვილის შემდეგ ღირსეულად და გამორჩეულად თუ იმღერებდა ვინმე ანსამბლ „რუსთავში?“, ეს შეძლო დავით გველესიანმა. მისი შვილები: ანდრია, ნიკოლოზი, ანა ხელოვნებას ემსახურებიან და მჯერა, თავის კვალს დატოვებენ მომავალში... ანდრია ნიჭიერი ხელოვანი და არაჩვეულებრივი ახალგაზრდაა. ზურაბ გველესიანის ვაჟი, გიორგი გველესიანი, წარმატებული ფეხბურთელი გახლდათ თბილისის დინამოში, დღეს ირანის ნაკრების წამყვანი ფეხბურთელია, სულხან გველესიანის ელენე, უკვე კონკურსების გამრჯვებულია და საოპერო ხელოვნებაში იტყვის თავის მნიშვნელოვან სათქმელს. ჩვენი საგვარეულოს ახალგაზრდები წარმატებით სწავლობენ მსოფლიოს სხვადასხვა პრესტიჟულ სასწავლებელში. მომავალი წინაა.



წარმატებას, ერთიანობას, ერთგულებას და სიყვარულს ვუსურვებ ყველა გვარს, ქვეყანას და დავასრულებ ჩემს წერილს, პოეტ **საშა გველესიანის** ლექსი-დარიგებით, რომელიც იქნება რჩევა ყველა გვარიშვილისთვის:

**„კაცმა ოცნებები, შვილში უნდა ხატოს,**
**წლებიც გადიან და თმები მევერცხლება,**
**მე მზეს დაგიტოვებ ნათელს, უღალატოს,**
**მთვარეს,რომ დააზეს ტოტზე ნეკერჩხლებმა.**
**ჯაჭვს ნუ გამიწყვიტავ, ჯიში დააძველე,**
**ლეკვებს მოუარე, მგლური გახელებით,**
**და შინ, დედაბოძზე წერა გააგრძელე,**
**ჯარად აჩუქურთმე შვილთა სახელები“...**

**ამინ... გედნიერება ყველას!..**
**„მოვუაროთ საქართველოს“!..**

**თამარ გველესიანი,**



ექიმი, საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ზესტაფონის მუნიციპალური ცენტრის დირექტორი, გველესიანების საგვარეულოს ხელმძღვანელი 2016 წლიდან.

**ანალიტიკოს ზაალ ანჯაფარიძის განცხადებით, დასავლეთში შესაძლოა ვიღაცა „ნაციონალურ მოძრაობას“ მიიჩნევდეს თავის საყრდენად, მაგრამ არც იმ დონეზე, რომ მისგან სურდეს ისეთი რადიკალური ქმედებები, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპულ პოლიტიკურ კულტურას და ცხოვრების წესებს. როგორც ანალიტიკოსი აცხადებს, რა თქმა უნდა, ევროპას არ აწყობს საქართველოს დესტაბილიზაცია, რადგან საქართველოზე უნდა გაიაროს იმ სატრანზიტო მარშრუტებმა, რომელიც რუსეთიდან უკვე სხვა მიმართულებით გადამისამართდნენ. მას შემდეგ, რაც რუსეთიდან შეწყდა გაზის მიწოდება, საქართველოზე უნდა გაიაროს გაზის ტრანზიტმა, რომელიც აზერბაიჯანიდან მიდის ევროპისკენ.**

# ზაალ ანჯაფარიძე: თუ საქართველო სამოქალაქო ომის მორევში ჩაეშვა, მსხვილ ეკონომიკურ პროექტებზე საუბარი ზედმეტია



**– მოსალოდნელი იყო გადაწყვეტილება რომელიც მიიღო მოსამართლე გიორგი არევაძემ, მაგრამ სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ „ნაციონალური მოძრაობის“ გარკვეულმა ჯგუფმა გადაწყვიტა, რომ მიხეილ სააკაშვილის მხარდამჭერი პერმანენტული აქციები ყველა მუნიციპალიტეტში გაიმართოს. ბატონო ზაალ, რა მოლოდინი გაქვთ, რა სახე შეიძლება მიიღოს პროტესტის ამ ფორმამ?**

– მე, ვფიქრობ, რომ ეს იყო სამართლებრივად სწორი გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რომ იურისტი არ გახლავართ, იმ ინფორმაციის საფუძველზე, რაც ვრცელდება საჯარო სივრცეში, რასაც ავრცელებს როგორც ერთი, ისე მეორე მხარე, არავითარი სამართლებრივი და ჰუმანიტარული, თუ მორალური საფუძველი იმისა, რომ სააკაშვილი ციხიდან გათავისუფლებულიყო და სასჯელის გადავადებაზე მიღებულიყო გადაწყვეტილება, არ არსებობდა. მოსამართლე თუ ამას გააკეთებდა, ეს შეიძლება აღქმულიყო როგორც მისი დამორჩილება იმ ზეწოლაზე, რაც მასზე მიდიოდა.

ამ შემთხვევაში მოსამართლე არ დაემორჩილა ზეწოლას და კონიუნქტურას, რომელიც მიდიოდა სასამართლოზე როგორც საქართველოს შიგნით, ასევე გარედან და მიიღო ის გადაწყვეტილება, რაც მიიღო. ჩემი, ერთი, რიგითი მოქალაქის აზრით, რომელიც არა ემოციების, არამედ ფაქტების საფუძველზე ვსაუბრობ, სააკაშვილის ამჟამინდელი მდგომარეობა, რაზედაც აპელირებს მისი ოჯახი, ადვოკატები და მომხრეები, გამოწვეულია სწორედ იმ კონტროლირებადი თვითდაზიანებით, რასაც ადასტურებს „ვივამედის“ კლინიკის მედპერსონალი. აღარ შევალ დანარჩენ დეტალებში როგორ და რა მიზნით ხორციელდებოდა.

მაგრამ, მეორე მხრივ რომ დავუბრუნდეთ თქვენს კითხვას, რას შეიძლება ველოდოთ, ალბათ, იმას, რაც ვიხილეთ სასამართლო სხდომის შემდეგ – ღამე ირაკლი ღარიბაშვილის სახლთან აბსოლუტურად სპონტანური, გაუაზრებელი მივარდნა. ეს იყო რაღაცა, აგრესიული მყვირალა აქცია-პერფორმანსი, რომელმაც თავად „ნაციონალური მოძრაობის“ შედარებით ზომიერ მომხრეებში გამოიწვია უარყოფითი რეაქცია და თქვენ ნახეთ, რომ არცთუ ისე ბევრი ხალხი იყო მისული. იქ არ იყვნენ „ნაციონალური მოძრაობის“ ცნობილი სახეები.

**– ჩალაძის და სანიკიძის განცხადებები გავიხსენოთ: – „გინდათ ომი, მიიღებთ ომს“ – ლოკალური აქციები, რომელსაც აანონსებენ შეიძლება რადიკალიზმში გადავიდეს?**

– მე მგონია, რომ სანიკიძის, ჩალაძის და სხვების ეს განცხადებები უფრო ფსიქოლოგიურ შეტევას წააგავს, ვიდრე რამე რეალური ძალის დემონსტრირებას იმიტომ, რომ ასეთი რეალური ძალა მათ არ გააჩნიათ. არ გააჩნიათ იმიტომ, რომ მათი მომხრეებიც კი, თუ იქ რამდენიმე ცალკეულ მართლა შუბლგაცხელებულ თავებს არ მივიღებთ მხედველობაში, არ არიან მზად იმისათვის, რომ ძალიან რადიკალურ მოქმედებებზე წავიდნენ.

მე მგონია, რომ ერთგვარი ფსიქოლოგიური შეტევა მიმდინარეობს, რომ შეაშინონ ხელისუფლება და წამოიყვანონ დათმობებზე, თორემ მათ კარგად იციან, რომ ქუჩის აქციებს და მით უმეტეს ძალადობრივ ქმედებას, რასაც ისინი უწოდებენ „ქუჩის ომს“, დასავლეთი არ მიესალმება და შესაბამისად, მათ მსგავსი რამ რომც გააკეთონ, ჩათვალეთ, რომ დასავლეთის თვალში სამუდამოდ იქნებიან მოკვეთილი როგორც რადიკალური და ანტიდასავლური ძალა.

დასავლეთში შესაძლოა, ვიღაცა „ნაცმოძრაობას“ მიიჩნევდეს თავის საყრდენად, მაგრამ არც იმ დონეზე, რომ მისგან სურდეს ასეთი ქმედებები, რომელიც ეწინააღმდეგება ევროპულ პოლიტიკურ კულტურას და ევროპულ პოლიტიკურ ცხოვრების წესებს. რა თქმა უნდა, ევროპას არ აწყობს საქართველოს დესტაბილიზაცია. საქართველოზე უნდა გაიაროს იმ სატრანზიტო მარშრუტებმა, რომელიც რუსეთიდან უკვე სხვა მიმართულებით გადამისამართდნენ. მას შემდეგ, რაც რუსეთიდან შეწყდა გაზის მიწოდება, საქართველოზე უნდა გაიაროს გაზის ტრანზიტმა, რომელიც აზერბაიჯანიდან მიდის ევროპისკენ. ასეთ ვითარებაში უნდათ საქართველოს ტერიტორიაზე სამოქალაქო ომი? არ მგონია.

**– რეალურად ვისაც უნდა ამ ტრანზიტის შეფერხება, ეს არის რუსეთი. შეიძლება ვთქვათ, რომ სწორედ რუსეთის დავალებით მოქმედებს ოპოზიცია, კერძოდ ეს პოლიტიკური ძალა?**




– ასეა თუ ისე, „ნაციონალური მოძრაობის“ მოქმედება ხელს უწყობს რუსეთის გეგმებს. თუ საქართველოში ვითარება აირია, თუ სამოქალაქო ომის მორევში ჩავეშვით, რა თქმა უნდა, მსხვილ ეკონომიკურ და მით უმეტეს ტრანზიტულ პროექტებზე საუბარი ზედმეტია. არავის სურს თავისი მილიონების და მილიარდების რისკის ქვეშ დაყენება. არავინ გაატარებს ტრანზიტულ ტვირთებს არასტაბილურ ქვეყანაში, სადაც მათ შეიძლება საფრთხე დაემუქროს. არც გაზსადენს გაიყვანს არავინ იმ ქვეყნის ტერიტორიაზე, სადაც შიდა კონფლიქტი მიმდინარეობს.

რუსეთის ბოლოდროინდელი მცდელობები, რომ რაღაცნაირად „ქართული ოცნება“ დაადანაშაულონ რუსეთთან კავშირში, მერე ამით ოპოზიციას მისცენ ხელში კოზირი, რომ დაიწყონ „ქართული ოცნების“ წარმოჩენა პრორუსულ ძალად და ამის ნიადაგზე ააგორონ საპროტესტო აქციები, თუნდაც ის, რომ ერთ-ერთი ოპოზიციური ტელევიზია იღებს აბსოლუტურად კონფიდენციალური საუბრის ჩანაწერს, შემთხვევით ხომ არ ხდება?!

**ბეწვის ხიდზე გადის ახლა ხელისუფლება, მაგრამ ამ ვითარებაში მართებს გონიერება და თუ დაიწყება ქუჩის პროცესები, დესტაბილიზაციის მცდელობა, ალბათ, მან უნდა იმოქმედოს კანონის შესაბამისად. 2012 წლის შემდეგ რამდენი მცდელობა იყო გადატრიალების, მაგრამ რეალურად პასუხისგებაში არავინ მიუციათ, თითქოსდა, ერიდებოდნენ. ამით გათამამებული „ნაციონალური მოძრაობის“ აგრესიული ჯგუფი მიდის რადიკალიზმზე, ცდილობენ ყოველ შემთხვევაში...**

– ხელისუფლებამ უკვე დააგროვა გარკვეული გამოცდილება ამ რადიკალურ ძალასთან ბრძოლის. ცდილობს, რომ არ გადაამლაშოს და იმოქმედოს იმ ფარგლებში, რაც არ გამოიწვევს დასავლეთის მხრიდან კრიტიკას. გვახსოვს, როგორ ჩატარდა ნიკანორ მელიას დაკავების ოპერაცია, ან როგორ მოხდა სხვა ოპოზიციური მიტინგების დაშლა ისე, რომ იქ არავინ დაშავებულა. ანუ, 2019 წლის 20 ივნისის მოვლენებიდან, ალბათ, რაღაცა გარკვეული გაკვეთილი იქნა გამოტანილი.

მაგრამ, რა თქმა უნდა, ხელისუფლებას, ნებისმიერ შემთხვევაში, ექნება ლეგიტიმური ძალის გამოყენების უფლება, თუ ოპოზიციის ქმედებებმა გადალახეს ის წითელი ხაზები, გავიდნენ კანონის და კონსტიტუციის ჩარჩოდან და მიიღეს აშკარად ძალადობრივი ხასიათი. რა თქმა უნდა, ასეთ შემთხვევაში, ხელისუფლება მათ მაყურებლის როლში არ დახვდება.

მე ვფიქრობ, რომ არც საზოგადოება დარჩება პასიურ როლში იმიტომ, რომ საზოგადოება უყურებს ამ ყველაფერს და დამოკიდებულებაც არის ძალიან ნეგატიური.

**– როგორ ფიქრობთ, რატომ არ დაიწყო გამოძიება ჩალაძის და სანიკიძის წინააღმდეგ?**

– მიკვირს, რატომ არ არის აქამდე სამართლებრივი რეაქცია. მე წავიკითხე ჩვენი შესაბამისი კანონმდებლობა და აშკარად, მათი განცხადება არის აშკარა მოწოდება ძალადობისკენ. ამისთვის არსებობს გარკვეული სასჯელი და არ ვიცი, რატომ იცდის ხელისუფლება. ალბათ, ანალიზი მიდის ამ ყველაფრის და მერე მოახდენენ რეაგირებას.

იხ. 9 გვ.

(პირველი გვერდიდან)

რა ფიქრები და, ის ფიქრები, მრავალი წელი რომ მაწვალებს. ფიქრები კი არა, უფრო სწორად – კითხვები. თითქოს ჩემს კითხვებზე საპასუხოდ მოეწყოთ ეს სამეცნიერო კონფერენცია! რამდენი წელია, ამ კითხვებს აღარ მივბრუნებივარ, მეგონა, რომ საერთოდაც თავი დავანებე მათზე პასუხების ძიებას, მაგრამ იმ დღეს თითქოს ყველაფერი თავიდან დატრიალდა. ჯერ იყო და როინ მეტრეველმა, ჯაბა სამუშიამ და მეუფე დანიელმა დავითის სამყაროში მამოგზაურეს თავიანთი მშვენიერი მოხსენებებით. მერე კი ჩემმა მეგობარმა პროფესორებმა ბუბა კუდავამ და მიხეილ ბახტაძემ უკვე ისეთი ორიგინალური რაკურსით გააშუქეს ჩემთვის ესოდენ საინტერესო საკითხი, რომ, აკი ვამბობ, საიუბილეო სუფრაზეც ამაზე ვფიქრობდი. სუფრაზე კი არა, შინ რომ მივედი კიდევ ერთხელ, ვინ იცის, მერამდენედ გადმოვალაგე „ქართლის ცხოვრება“, ნიკო დადიანის, თედო ჟორდანიას, ივანე ჯავახიშვილის, ნიკო ბერძენიშვილის, როინ მეტრეველის, ილია ანთელავას, ჯაბა სამუშიას თუ სხვათა წიგნები. ჩემი ძველი ჩანაწერები და ამონაწერებიც მოვძებნე. მეორე დღისთვის აღარ გადავდე და ბუბა კუდავას და მიშა ბახტაძესაც შევეხმიანე, ვთხოვე, თავიანთი მოხსენებები ნებისმიერი ფორმით გამოეგზავნათ. მადლობა ორივეს, რომ ახლა ვზივარ და კიდევ ერთხელ ვუღრმავდები მათ მოხსენებებს, კიდევ ერთხელ ვუბრუნდები იმ კითხვებს, ამდენი წელი რომ ვატრიალებ წაღმა-უკუღმა..

ბუბას მოხსენება მთლიანად კითხვებზე იყო აგებული. თქვა კიდეც, პასუხები შეიძლება არ გვქონდეს, მაგრამ კითხვები უნდა დაისვასო.

მეც სულ ვეუბნები ხოლმე ჩემს სტუდენტებს, კითხვა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე პასუხი, რადგან კითხვა თუ არ იქნა, პასუხის ძებნას არავინ დაიწყებს-მეთქი.

ხოლო მოხსენებას დამაინტრიგებელი სათაური ჰქონდა: „დავით აღმაშენებელი (ნაკლული ბიოგრაფია)“.

ბუბა კუდავას მოხსენებაში დასმულ კითხვათა ერთი ნაწილი დიდი ხანია, მოსვენებას არ მაძლევს. ამ 10-12 წლის წინათ სწორედ „საქართველოს რესპუბლიკაში“ წამოვიწყე წერილების სერია „გადადგომანი“, რომელიც, ზუსტად არ მახსოვს – 10-12 წერილის გამოქვეყნების შემდეგ, ჩემგან დამოუკიდებელი მიზეზით შეწყდა, თორემ რის დაწერასაც ახლა ვაპირებ, იმ რკალში უნდა მომექცია. თან ისიც მიკვირს, აქამდე როგორ არავინ დაწერა ეს ყველაფერი, აქამდე როგორ არავინ შეხედა ფაქტებსა და მოვლენებს ამ რაკურსით, აქამდე როგორ არავის გაუჩნდა ეს ვერსია, მე რომ ზედაპირზე მგონია. ვინმეს რომ ასეთი ვარაუდი აქამდე გამოეთქვა, ბუბა კუდავა ხომ აუცილებლად აღნიშნავდა თავის მოხსენებაში.

**და რაკი აქამდე არავის გამოუთქვამს, ვინ იცის, იქნებ მართლა მეტისმეტია და იქნებ ეს ყველაფერი, რის დაწერასაც ახლა ვაპირებ, ჩემი გამჭრიახობისა კი არა, ჩემი მოუმზადებლობის და დილეტანტური თავდაჯერების ილუსტრაცია უფრო იყოს. ასეა თუ ისე, თუნდაც მკაცრად გამაკრიტიკონ, ახლაც რომ არ დავწერო, მერე რა ვიცი, როდის მომეცემა ასეთი ხელსაყრელი შემთხვევა. დავით აღმაშენებლის 1000 წლისთავს მე ვერ მოვესწრები!**

950 წლისთავისადმი მიძღვნილ კონფერენციაზე კი დავრწმუნდი: თურმე რომ მეგონა, სრულყოფილად არ ვიცოდი ესა თუ ის საკითხი და რომ კვლავ და კვლავ უნდა მეძებნა წყაროებში ახალ-ახალი ცნობები, ბევრი ჩემთვის მნიშვნელოვანი რამ საერთოდ უცნობი ყოფილა ისტორიოგრაფიაში და არც არავის სცოდნია! თურმე მთელი ის პერიოდი სავსეა ვარაუდებით, დაშვებებით, უპასუხო კითხვებით. არის მემატიანეთა ცნობების ერთი აწონ-დაწონვა, მოწონება-დაწუნება, ეჭვის შეტანა და სუბიექტური დასკვნების გამოტანა. ენციკლოპედიაშიც კი ბევრი რამ ვარაუდის დონეზე წერია.

„რა არ ვიცით გიორგი II-ის შესახებ 1089 წლის შემდეგ?“ – სვამს კითხვას პროფესორი ბუბა კუდავა და ხუთ პუნქტს ჩამოთვლის, მაგრამ მანამდე იმას უნდა გაესვას ხაზი, რატომ 1089 წლის შემდეგ? ამის განმარტება ფართო აუდიტორიისათვის არის საჭირო, თორემ დავით აღმაშენებლის ბიოგრაფიის მცოდნეთათვის კარგად არის ცნობილი, რომ სწორედ 1089 წელს აკურთხეს იგი მეფედ:

*„მას ჟამსა იყო ჰასაკითა თექუსმეტისა წლისა, ხოლო ქორონიკონი სამას და ცხრა. ამას მარტოდ შობილსა გიორგისგან თჳთ მამამან დაადგა გჳრგჳნი მეფობისა და, უჭეშმარიტესი ვთქუათა, თჳთ მამამან ზეცათამან პოვა დავით, მონა თჳსი, და საცხებელი მისი წმიდა სცხო მას, რამეთუ ხელი მისი შეეწეოდა მას, და მკლავმან მისმან განაძლიერა იგი“.*

ჩამოწერს ბუბა კუდავა კითხვებს და იქვე დასძენს, შეადარეთ ეს ყველაფერი სხვა მეფეებისა და გიორგი ჭყონდიდელის ამბებსო. ისედაც მრავალი წელია, ვადარებ, მაგრამ ბუბამ თითქოს საგანგებოდ მომიწოდა, კიდევ ერთხელ შეადარეო!

გიორგი ჭყონდიდელი, იგივე გიორგი მონაზონი – დავით აღმაშენებლის პოლიტიკის ერთი მთავარი შემოქმედია, 1104 წელს ჩატარებული რუის-ურბნისის იმ ცნობილი კრების ერთ-ერთი თაოსანი და წარმმართველი, „კრების თვალი“, XII საუკუნის დასაწყისში აქტიურ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის მართვა-გამგებლობაში, თუმცა წყაროებმა არ შემოგვინახეს მისი ბიოგრაფიის სხვა ფურცლები, გვარიც კი არსად წერია მისი. როგორც ვარაუდობენ, სამეგრელოს მთავართა გვარიდან იყოო.

ხოლო გიორგი II დავით აღმაშენებლის მამაა – „ცხენოსან-მშვილდოსანი რჩეული“, მეფეთმეფე და ჯერ კურაპალატი და მერე სევასტოსი და ბოლოს – კესაროსიც. ვერც ერთი ქართველი მეფე ვერ მოიწონებს თავს ასეთი ტიტულატურით!

და აი, ეს გიორგი II – ჯერ მამამისის, ბაგრატ IV-ის და მერე თავისი შვილის, დავით IV-ის თანამეფე, ბიზანტიის ორგზის დედოფლის მართა-მარიამის ძმა, საქართველოს გამაერთიანებელი, ურჩ ფეოდალთა ამლაგმავი და ფარცხისის ომის ბრწყინვალედ მომგები, რომელმაც ქვეყანას შემოუერთა კახეთ-ჰერეთი, აიღო ანაკოფია, შემოიმტკიცა „მრავალნი ციხენი კლარჯეთისა, შავშეთისა, ჯავახეთისა და არტანისა“ და არაერთგზის აოტნა თურქ-სელჯუკები, 1089 წელს საკუთარი ხელით ადგამს თავზე სამეფო გვირგვინს თავის 16 წლის პირმშოს დავითს, შემდგომში აღმაშენებლად წოდებულს და მერე უკვალოდ ქრება ისტორიის ანალებიდან. არსად მისი ხსენება აღარ არის, თუ არ ჩავთვლით, რუის-ურბნისის კრების ძეგლისწერას, სადაც იგი, უკვე გადამდგარი მეფე, პირველია ნახსენები, თვით დავით აღმაშენებელზეც წინ:

*„კეთილად მსახურისა და ღმრთივ-დაცვულისა მეფისა ჩუენისა გიორგი მეფეთა მეფისა და ყოვლისა აღმოსავალისა და დასავალისა კესაროსისა, მრავალმცა არიან წელნი“.*

ესე იგი 1104 წელს მეფედყოფილი გიორგი II ჯერ კიდევ ცოცხალია და თანაც მეფეზე წინ არის ნახსენები ეპოქის უმნიშვნელოვანეს დოკუმენტში. დარწმუნებული ვარ, გიორგი II ჭყონდიდელის შესახებ მემატიანის ნათქვამ სიტყვებში („იგლოვა ყოველმან სამეფომან და თვით მეფემან, ვითარცა მამა და უმეტესცა მამისა, შემოსითა შავისათა ორმეოც დღე“) სწორედაც გიორგი მეფედყოფილი იგულისხმებოდეს?

III. ვინ იყო ასე არსაიდან მოსული გიორგი ჭყონდიდელი? რატომ არის ბურუსით მოცული მისი ბიოგრაფია? რატომ არ ვიცით მისი არც გვარ-სახელი და არც რუის-ურბნისამდელი თუ მწიგნობართუხუცესობამდელი მისი ცხოვრება?

– იმიტომ ხომ არა, რომ მისი მანამდელი ცხოვრება გიორგი II-ის ცხოვრება იყო?

IV. ჰყავდა თუ არა გიორგი ჭყონდიდელს მეტად თუ ნაკლებად მსგავსი მემკვიდრე ამ გაერთიანებულ თანამდებობაზე?

– ეს გაერთიანებული თანამდებობა მერეც არსებობდა, მაგრამ რატომ აღარასოდეს შეუსრულებია არცერთ მომდევნო მწიგნობართუხუცეს-ჭყონდიდელს ისეთი თუ არა, მსგავსი როლი სახელმწიფოსა თუ ეკლესიის ისტორიაში, როგორიც გიორგი ჭყონდიდელმა შეასრულა?

V. რატომ, რომელ წყაროზე დაყრდნობით თვლიან მეცნიერები, რომ გიორგი ჭყონდიდელი დასავლეთ საქართველოდან, სამეგრელოს მთავართა გვარიდან იყო?

## ჰეროეექციონისტის შთანახატებიდან

პაატა ნაცვლიშვილი



# გიორგი მეორისა, ანუ გიორგი ჭყონდიდელისა...

მეფედყოფილი კრებასაც ესწრება, ოღონდ უკვე სხვა იპოსტასით, ბერის კაბაში გამოწყობილი, ალბათ გაჭაღარავებულიც და უკვე ვეღარც ვერავინ ცნობს მასში მეფეთმეფესა და კესაროსს – 15 წელია გასული გადადგომიდან.

ახლა შევეცდები, პროფესორ კუდავას კითხვებს რამდენიმე ჩემიც დავუმატო და თითოეულს კითხვებითვე გავცე პასუხი:

აი, ბუბა კუდავას კითხვები გიორგი II-ის გარშემო და ჩემი კითხვისნიშნიანი პასუხები მათზე:

*1. სად იმყოფება?*

– რაკი გადამდგარი მეფისთვის არც თვალები დაუთხრიათ, არც ხაროში ჩაუგდიათ იგი, არც ქვეყნიდან გაუძევებიათ, როგორც, ვთქვათ, ლიპარიტ ბაღვაში 1096-ში და ვერც ბიზანტიის იმპერატორის, მისი სიძის მიხეილ VII დუკას კარზე ვხედავთ, ხომ არ შეიძლება, ვივარაუდოთ, რომ გიორგი II დავითის მეფედ კურთხევის შემდეგ ბერად აღკვეცეს და ჭყონდიდს გაამწესეს?

*2. რა როლს ასრულებს?*

– ხომ არ ასრულებს ბერად აღკვეცილი, მაგრამ იმ დროისთვის უკვე ჭყონდიდელი ეპისკოპოსი მეფეთმეფე გიორგი II მწიგნობართუხუცესის როლსაც და ხომ არ გააერთიანა ეს ორი თანამდებობა დავით აღმაშენებელმა სპეციალურად მისთვის?

*3. უფლებები (შინაპატიმრობა?)*

– შინაპატიმრობა კი არა, ხომ არ არის გადამდგარი მეფეთმეფე მეორე პირი სახელმწიფოში? აკი ივანე ჯავახიშვილი მწიგნობართუხუცესის სახელს მთავარი ვეზირისას თუ პრემიერ-მინისტრისას უთანასწორებდა?

*4. რაიმე ეპიზოდი.*

– განა რუის-ურბნისის კრება არ გამოდგება ასეთ ეპიზოდად?

*5. გარდაცვალება (?)/დაკრძალვა.*

– იქნებ გიორგი ჭყონდიდელისა და გიორგი II-ს გარდაცვალების მხოლოდ თითო წყაროში მოყვანილი თარიღები (1118 და 1112) იმიტომ არ ემთხვევა ერთმანეთს, რომ რომელიმე ამათგანი არაზუსტია და არასანდო? (ყოველ შემთხვევაში, გიორგი II-ის გარდაცვალების თარიღი, ჩემი ცოდნით, დღემდე სადავოა.)

ბუბა კუდავას კითხვების შემდეგ ჩემს კითხვებსაც ჩამოვწერ ჩემივე კითხვისნიშნიანი პასუხებითურთ:

I. რატომ შეუთავსა დავითმა მწიგნობართუხუცესის ახალი თანამდებობა მაინცდამაინც ჭყონდიდელს? (და არა ვთქვათ, მაწყვერელს ან მროველს ან ურბნელს, ან გაენათელს ან სხვა იერარქს?)

– დავითმა მწიგნობართუხუცესის ახალი თანამდებობა იმიტომ ხომ არ შეუთავსა ჭყონდიდელობას, რომ ჭყონდიდელი სწორედ მამამისი იყო და იგი მისი საერო გამოცდილების კვლავ ქვეყნის სამსახურში ჩაყენებას ესწრაფოდა?

II. რატომ გლოვობს დავით აღმაშენებელი გიორგი ჭყონდიდელს მთელი 40 დღე, ესოდენ მწარედ და დიდხანს – უფლისწულ ვახტანგის დაბადებამდე, ანუ უფრო დიდხანს და უფრო მწარედ, ვიდრე მამას იგლოვდა?

– იქნებ მეფისგან გიორგი ჭყონდიდელის ასეთი გლოვა სწორედ იმის დასტურია, რომ დავით აღმაშენებელი არა მხოლოდ ჭყონდიდელსა და მწიგნობართუხუცესს, არამედ საკუთარ მამას(აც) გლოვობდა? და რატომ არ შეიძლება, რომ გიორგი



დავით აღმაშენებელი და გიორგი ჭყონდიდელი. XXI საუკუნის ხატი

– რაკი ჭყონდიდელი ბერი და ჭყონდიდელი ეპისკოპოსი იყო, მხოლოდ იმიტომ?

და ბოლო (ჯერჯერობით) შეკითხვა:

VI. რატომ ჩაატარა დავით აღმაშენებელმა საეკლესიო კრება მაინცდამაინც იქ, სადაც ჩაატარა და არა სადმე სხვაგან? რატომ რუის-ურბნისი?

და სანამ ჩემს ამ კითხვას ჩემივე კითხვით გავცემდე პასუხს, ავტორის ნებართვით, მოვიხმობ ამონარიდს მიხეილ ბახტაძის იმდღევანდელი, ჯერ გამოუქვეყნებელი მოხსენებიდან, რომელიც მეფედ მეორედ კურთხევის ტრადიციას თუ პრეცედენტებს ეხება და რომელშიც, კერძოდ, საუბარია გიორგი II-ის მეფედ პირველ კურთხევაზე ჯერ კიდევ მამამისის სიცოცხლეში, როცა ბაგრატ IV ბიზანტიაში დაიტოვეს საპატიო ტყვეობაში, სამეფო კი სამი წლით სავარაუდოდ თინეიჯერ გიორგის, დედამისს – ბორენა დე-

დოფალს, მამიდამისს – გურანდუხტს და გაპარპაშებულ ფეოდალს, კლდეკარის ერისთავს ლიპარიტ ბაღვაშს დარჩათ.

პროფესორი მიხეილ ბახტაძე წერს:

*„როგორც ცნობილია გიორგი II რუისში აკურთხეს მეფედ ლიპარიტ IV ბაღვაშის ინიციატივით. თავად გიორგი II, როგორც ჩანს, ამას არ აქცევდა ყურადღებას, ანუ არ თვლიდა მეფობის დასაწყისად. საკუთარ მეფობას ის აითვლიდა 1072 წლიდან. ეს აშკარად ჩანს მის მიერვე გაცემული სიგელიდან. ეს მაშინ, როდესაც სხვა მეფეები, მაგ. დავით VI, ვახტანგ II, გიორგი V მეფობას აითვლიდნენ პირველად მეფედ კურთხევიდან ანუ თანამოსაყდრედ გახდომიდან და არა ერთპიროვნული მეფობის დაწყებიდან. ანუ გიორგი II-ს საკუთარი მეფობა უნდა აეთვალა 1054 წლიდან, მაგრამ აითვლის 1072 წლიდან. გიორგი II გამონაკლისია და ეს სრულიად გასაგებია. მისი რუისში კურთხევა არაორდინარული იყო და არცთუ სასიამოვნო ბაგრატიონთათვის. ეს მოხდა ლიპარიტ ბაღვაშის ინიციატივით რუისში (აქ კიდევ სხვა კითხვებია: რატომ რუისში? ლიპარიტი ვერ გადადის ქუთაისში? ის ხომ არგვეთიდანაა და იქ მამულიც აქვს. მაგრამ მაინც სუსტად გრძნობს თავს დასავლეთში. რატომ არა მცხეთაში? მროველმა აკურთხა თუ სხვა მღვდელთმთავარმა?).“*

გიორგი II თურმე ყურადღებას არ აქცევდა თავის იმ პირველ კურთხევას, მე კი აქამდე რატომღაც ყურადღება არ მიმიქცევია იმ ფაქტისთვის, რომ მისთვის არასასიამოვნო და არასაამაყო ეს კურთხევა სწორედ რუისში შედგა, სადაც წლების შემდეგ ის ცნობილი კრება გაიმართება.

*„გიორგი II ცდილობს, „დაივიწყოს“ 1054 წლის მეფედ კურთხევა, როგორც არასასიამოვნო, როგორც დამამცირებელიც*



*კი. თან ცდილობს, დაივიწყოს არა მხოლოდ თავად, არამედ დაავიწყოს საზოგადოებას და ყველას „ეუბნება“, რომ გამეფდა 1072 წელს, მამის – ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ. ამიტომ ვფიქრობ, რომ 1072 წელს ბაგრატ IV-ის გარდაცვალების შემდეგ გიორგი II მეორედ უნდა ეკურთხებინათ მეფედ და შესაძლოა აქედან დამკვიდრდა მეფედ მეორედ კურთხევის ცერემონიალი“.*

დიდი მადლობა, პროფესორ მიხეილ ბახტაძეს, რომელმაც საგანგებოდ გაუსვა ხაზი იმ ფაქტს, რომ ის პირველი კურთხევა გიორგი II-სთვის დამამცირებელი იყო, რადგან მოჯანყე ფეოდალმა აკურთხებინა და ამით მასზე ერთგვარი ძალაუფლებაც მოიპოვა.

სავსებით ბუნებრივია, რომ გიორგი II ცდილობს დაივიწყოს და სხვასაც დაავიწყოს ეს ფაქტი – ვის რად უნდა ლიპარიტის ნებით თუ ძალისხმევით ნაკურთხი მეფე – და საამისოდ, ჩემი აზრით, გადაფარვის ხერხს იყენებს, რომელიც აგერ, ჩვენს თვალწინ გამოიყენა ზვიად გამსახურდიამაც, როცა საქართველოს დამოუკიდებლობის აღდგენა სწორედ 9 აპრილს, 1990 წლის 9 აპრილს გამოაცხადა 1989 წლის 9 აპრილის ტრაგიკული მოვლენების გადაფარვისა თუ დაბალანსების მიზნით. იქნებ სწორედ ამით აიხსნება, რომ გიორგი მეფედყოფილიც წლების შემდეგ, უკვე მეფის პირველი მინისტრი, იმ საეკლესიო კრებას, რომელიც მნიშვნელობით მეფის კურთხევას არათუ ჩამოუვარდება, იქნებ აჭარბებს კიდეც, სწორედ რუისში ნიშნავს თუ ანიშვნინებს, ქართულ ეპარქიათა იერარქიაში სადღაც მეორე ათეულში რომ იკავებდა ადგილს?

ზვიად გამსახურდიაზე გამახსენდა: თუ კონსტანტინე გამსახურდიას ორ ბაგრატს, ორ კურაპალატს შორის გამოსრესილი გიორგი I-ის ბედი აღელვებდა, მე მისი შვილიშვილის, ასევე ორ კურაპალატს შორის მოქცეული თავადაც კურაპალატისა და მეტიც – კესაროსის, გიორგი II-ის ამბავი მაინტერესებს.

კიდევ არაერთი კითხვა იქნება, რომელიც თავის პასუხს ელის. მაგალითად, ვანანდის ქვეყნის გადმოცემის გარდა, რაზე მოილაპარაკეს ბანაში საკმაოდ ხანგრძლივი შეხვედრისას გიორგი II-მ და ბიზანტიის იმპერიის აღმოსავლეთის დომესტიკოსმა გრიგოლ ბაკურიანის ძემ? რა გზავნილით ჩამოვიდა იგი კონსტანტინოპოლიდან? შემთხვევითია თუ არა, რომ სწორედ გიორგი II-ის გადადგომის შემდეგ აღიკვეცა მონაზვნად მისი დაი, ბიზანტიის იმპერიის ძალმოსილი დედოფალი მართა-მარიამი? ხომ არც ის ვიცით, რა ზეციურ ნიშნად და რა ღვთის რისხვად იქნა აღქმული საქართველოში სწორედ 1089 წელს და სწორედ აღდგომა დღეს მომხდარი ის დამანგრეველი მიწისძვრა?

ამ კითხვებთან შედარებით ნაკლებმნიშვნელოვანი მგონია პასუხის ძიება კითხვაზე, მროველმა აკურთხა გიორგი ბაგრატ IV-ის სიცოცხლეში თუ რომელიმე სხვა მღვდელმთავარმა. ერთი კი დიდი ალბათობით შემიძლია ვთქვა: ერთ-ერთი პირველი მღვდელმთავარი, რომელიც რუის-ურბნისის კრებაზე ეპისკოპოსობიდან გადააყენეს, განკვეთეს თუ სხვა რამ მკაცრი სასჯელი დაადეს, სწორედ ის მისი მაკურთხებელი მღვდელმთავარი იქნებოდა, თუკი ის იმ დროს ცოცხალი იყო.

იმის გარკვევა კი დიდად საინტერესოა, მაგრამ ალბათ ვერასოდეს გავარკვევთ, სწორედ გიორგი II-ს ხომ არ გულისხმობს მემატიანე, როცა გიორგი ჭყონდიდელს დავით აღმაშენებლის გამზრდელად მოიხსენიებს. ვინ უნდა იყო ყოფილიყო მამაზე დიდი გამზრდელი 16 წლის ასაკში გამეფებული დავითისთვის? და თუ ვინმე იყო, სულხან-საბა ორბელიანივით, რატომ არსად არის მისი სახელი ნახსენები?

დაბოლოს, სულ-სულ მთავარი კითხვა: იმის მიუხედავად, თუ როგორ შეიფუთა თანამედროვეთათვის თუ ისტორიისათვის ის ყველაფერი, ხომ არ იყო გიორგი II-ის მიერ თავისი თინეიჯერი ვაჟისთვის მეფობის ნებაყოფლობით გადაცემა არა „ხავერდოვანი“ რამ გადატრიალება, არა რაიმე ზეწოლის ან იძულების შედეგი, არამედ სტრატეგიული შეთანხმება მამა-შვილს შორის ქვეყნის საშინაო თუ საგარეო პოლიტიკის უფრო ეფექტიანად წარმართვისათვის?

ერთგან ეწერა, თითქოს გიორგი II ჭყონდიდის მთავარეპისკოპოსმა გიორგიმ დაარწმუნა მისი გადადგომის აუცილებლობაში. ჰო, მაგრამ გიორგი ჭყონდიდელი რომ 15 წლის შემდეგაც, რუის-ურბნისის კრებაზე, მხოლოდ „უბრალო“ ბერია და მეტი არაფერი?

დიახ, ამ და სხვა კითხვებზე პასუხი საძებნია და საპოვნი, თუმცა კიდევ არაერთი უპასუხო შეკითხვა შეიძლება დაისვას. დისერტაცია რომ დაცული არ მქონდეს, ეს საორჭოფო თემა, საბოლოო დასკვნისა თუ შედეგის მიუხედავად, იქნებ სადისერტაციოდაც გამომდგომოდა. ძალიან ვწუხვარ, რომ ჩემი სტუდენტობისას საქართველოს ისტორიას ჟურნალისტიკის განყოფილებაზე მხოლოდ ერთი სემესტრი ეთმობოდა და რომ მე არასოდეს მომეცა შესაძლებლობა, ბატონ როინ მეტრეველის სტუდენტი ვყოფილიყავი, თორემ ამ ყველაფერს ან უფრო დამაჯერებლად, უფრო არგუმენტირებულად დავწერდი ანდა იქნებ სულაც არ დავწერდი. ამ მხრივ დღეს განსაკუთრებით მშურს ჯაბა სამუშიასი და ბუბა კუდავასი, რომლებიც როინ მეტრეველის სტუდენტები იყვნენ და რომელთაც იგი თავის შვილებს ეძახის. სხვათა შორის, ორივენი იყვნენ იმ 15-კაციან სუფრაზე, თავში რომ ვახსენე. რაღაც მომენტში ერთი სული მქონდა, გიორგი II-ისა და გიორგი ჭყონდიდელის იგივეობის ვერსია მათთვის გამეზიარებინა, მაგრამ შემეშინდა, – დამთვრალაო, არ ეთქვათ.

მათი თქმა რად მინდა, თავადაც კარგად ვიცი, რომ არ არის ადვილი და უპრობლემო დღეს ამ ვერსიის წამოჭრა, ისიც კარგად ვიცი, რომ არის ზოგიერთი ცნობა თუ ფაქტი, რომელიც ეწინააღმდეგება ჩემს ვერსიას – ვთქვათ, იგივე გარდაცვალების თარიღები, ან ის, თუ რატომ არ შეიცვალა მეფე გიორგიმ სახელი ბერად აღკვეცისას, ან შიო-მღვიმის მონასტრის ანდერძი, სადაც დავითი ახალგაზრდობისდროინდელ ცოდვებს ინანიებს, რაც თითქოს მამამისის საწინააღმდეგო მოქმედებებში გამოიხატება, მაგრამ ასეთ შემთხვევაში მე, ცოტა არ იყოს, ჰეგელური პასუხი მექნება:

მით უარესი ამ ფაქტებისა და ამ ცნობებისათვის!

კი, ბატონო, ეს ხუმრობით, და თუ სერიოზულად – მაშინ:

სად არის გიორგი მეფედყოფილის გარდაცვალებისა და დაკრძალვის მაუწყებელი სანდო წყარო? ბუბა კუდავასი არ იყოს, შევადაროთ სხვა მეფეთა გარდაცვალება-დაკრძალვებს. არადა, არ იყო გიორგი II ასეთი შეუმჩნეველი და მოძულებული ფიგურა იმდროინდელ საქართველოში. ვინ იცის, რა ისტორიულმა მომენტმა მოითხოვა 1112 წელს გიორგი მეფედყოფილის გარდაცვალებულად გამოცხადება? ისევე როგორც თავის დროზე გადამდგარი მეფის ჯერ ბერად და მერე მღვდელმთავრად შენიღბვა.

სახელი არ გამოიცვალა? კიდევ კარგი არ გამოიცვალა, თორემ ეს ჩემი ვერსია ალბათ კიდევ უფრო დაუჯერებელი და კიდევ უფრო საკამათო იქნებოდა.

მონანიებას რაც შეეხება, თუ დავითს რამ ბრალი მიუძღოდა მამამისის გადაყენებაში და ამას ინანიებს მრავალი წლის შემდეგ, იქნებ მის მიერ მამამისის მწიგნობართუხუცესად დანიშვნა და მისთვის ჭყონდიდელობის შეთავსებაც სწორედ მონანიების ფაქტი იყო? თანაც უფრო ქმედითი, ვიდრე, ვთქვათ, „გალობანი სინანულისანი“. იქნებ ამანაც ისე გამოიხმო ჭყონდიდიდან ბერადშემდგარი მეფეთმეფე და კესაროსი ეკლესიის თავგასულ მსახურთა ასალაგმად, როგორც თავის დროზე – იოანე თორნიკყოფილი გამოიხმო დავით კურაპალატმა ათონითგან ბარდა სკლიაროსის წინააღმდეგ საბრძოლველად. ან იქნებ ის 40-დღიანი გლოვა იყო ერთგვარი მონანიება?..

და თუ ჩემი ვერსია მართალი აღმოჩნდება, განა დავით აღმაშენებელი ახალი მასშტაბითა და ახალი სიმაღლით არ გამობრწყინდება, ვითარცა პოლიტიკოსი თუ ვითარცა ადამიანი?!

ჩემს ამ საგაზეთო შთანახატსა თუ შთანაწერს, რომელიც უფრო დაუმთავრებელ სამაგისტრო ნაშრომს დაემსგავსა, ისღა შემიძლია დავძინო, რომ საკითხის შესახებ ჩემი ცოდნის შესავსებად და გასამდიდრებლად დიდი მონდომებით ვითანამშრომლებდი საქართველოს ისტორიის იმ პერიოდის რომელიმე სპეციალისტთან, თუნდაც დოქტორანტთან ან მაგისტრანტთან, – აბა, ბუბა კუდავა ან ჯაბა სამუშია საამისოდ როგორ მოიცლიან, მით უმეტეს როგორ ვიოცნებებ ბატონ როინ მეტრეველის კონსულტაციებზე, – რათა დავძებნო პრო და კონტრარგუმენტები, რომ დასმულ კითხვებს არა მხოლოდ კითხვებით ვუპასუხო და მეტი და მეტი გავიგო ამ იდუმალი მეფეთმეფის, გიორგი II-ის შესახებ, რომელიც, – რა ვქნა! – მე იგივე გიორგი ჭყონდიდელი მგონია!

საერთოდ, ძალიან მიყვარს, ძველი ამბების ახალი თვალით განჩხრეკვა.

განა ასე არ აღმოვაჩინე, რომ 1756 წლის კითხვა-მიგება ტიმოთე გაბაშვილსა და ევგენიოს ბულგარისს შორის ათონის მთაზე სულაც პირველი ინტერვიუა მსოფლიო ჟურნალისტიკის ისტორიაში?!

ან განა ასე არ დავადგინე, რომ აქამდე „უცნობ ფრანგ ბიჭუნად“ მონათლული ოლიმპიური ჩემპიონი ნიჩბოსნობაში დიდი ალბათობით შეიძლება 1900 წელს პარიზში შემთხვევით ჩასული 12 წლის გიორგი ნიკოლაძე იყოს?!

ან კიდევ განა ასე არ გავშიფრე დონ ქრისტოფორო დე კასტელის მისტიფიკაცია, როცა იგი მის მიერ გამოგონილი მონაზონ ქრისტინეს სახელით ნუგეშის წერილებს სწერდა სპარსეთში გადედოფლებულ თავის სულიერ შვილს – ელენე ათაბაგის ასულს?!

თანაც ამ სამი მაგალითისგან განსხვავებით, აქ ბოლოსდაბოლოს, მხოლოდ კითხვები დავსვი და ვარაუდი გამოვთქვი, მეტი ხომ არაფერი!

იმედია, ფილმის სინოფსისად მაინც გამოდგება!



# გამოვლინდნენ საქართველოს ეროვნული პრემიისა და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის გამარჯვებულები

**ორბელიანების სასახლეში საქართველოს ეროვნული პრემიისა და ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის 2022 წლის ლაურეატების დაჯილდოების ცერემონია გაიმართა.**

2022 წელს საქართველოს ეროვნული პრემია მიენიჭათ: – მონოგრაფიისთვის „პატარა ლიახვის ხეობის ისტორია“; **თინათინ სადუნიშვილს, ინება მაისაიას, ქეთევან ბაცაცაშვილს, შალვა სიხარულიძესა** და **თამაზ დარჩიძეს** – მონოგრაფიისათვის „საქართველოს აგრარული კულტურა“.

2022 წელს ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემია მიენიჭა **როსტომ ჩხეიძეს** ბიოგრაფიული რომანისათვის „კალამი გოლგოთაზე“.

საქართველოს პრეზიდენტმა ლაურეატებს გამარჯვება მიულოცა და დამსწრე საზოგადოებას სიტყვით მიმართა:

**„სახელმწიფო არსებობს თავისი მეცნიერებით, თავისი კულტურით და ამ მეცნიერების და კულტურის დაყენებით იმ საერთაშორისო დონეზე, რომელიც ქვეყნისთვის შესატყვისი და მისაღებია. საქართველო საერთაშორისო არენაზე მუდამ თავისი კულტურით, თავისი მეცნიერებით არსებობდა. შესაძლოა, ამით ბევრად უფრო მეტად იყო გამოჩენილი, ვიდრე თავისი ზომითა თუ თავისი მოსახლეობის რაოდენობით. ეს ხარისხობრივია და ჩვენ ამით ვიყავით, ვართ და ვიქნებით გამორჩეულნი.**

**მე არ ვიცი, არ ვიცნობ კომისიის წევრებს, არ ვიცი და არ ვიცნობ ვინ შემოიტანა ნამუშევრები, მონაწილეობა არ მიმიღია გამარჯვებულების გამოვლენაში. ეს კომისიის წევრებმა კარგად იციან და ეს სრულიად დამოუკიდებელი გადაწყვეტილებაა.**

**თქვენ, ვინც ახლა აქ გამარჯვებულებს წარმოადგენთ, მინდა, წინასწარ მოგილოცოთ ეს ძალიან დიდი გამარჯვება და დიდი მადლობა მოგახსენოთ მათ, ვინც ამ შერჩევის პროცესში მონაწილეობდით“,** – განაცხადა საქართველოს პრეზიდენტმა.

ღონისძიებაზე სიტყვით გამოვიდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე, ეროვნული პრემიის კომისიის თავმჯდომარე **ნუნუ მიცკევიჩი.**

**„მე მინდა, პირველი ნაშრომის ავტორს დავუდასტურო დიდი პატივისცემა. გარდა იმისა, რომ ის ადამიანი ასეთ ნაშრომებს უძღვნის საქართველოს ისტორიას, ცხოვრობს ზუსტად გამყოფ ხაზთან. მის ეზოში გადის გამყოფი ხაზის მავთულხლართები. ის არის იქ, სადაც უნდა იყოს. ძალიან მნიშვნელოვანია მისი იქ ცხოვრება. ის ამბობს, რომ თუ ჩააქრობს სინათლეს, მაშინ მისი სოფელი დაიცლებაო. მისი ლიტერატურული ნაწარმოები, რომელსაც მიენიჭა ჯილდო, ზუსტად იმ ხეობას ეხება. მეორე ნაშრომი, იშვიათი და გადაშენების პირას მყოფი მცენარეების შესახებაა. ეს არის ჯგუფური ნამუშევარი. ამაყი ვარ, რომ სამი ქალბატონი მეცნიერია და მინდა, ხვალინდელი დღე – ქალ მეცნიერთა და გოგონათა საერთაშორისო დღე მოგილოცოთ“,** – განაცხადა ნუნუ მიცკევიჩმა.

ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის კომისიის თავმჯდომარემ, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორმა, პროფესორმა **ზაზა აბზიანიძემ** ხაზი გაუსვა ვაჟა-ფშაველას სახელობის პრემიის ტრადიციის აღდგენის მნიშვნელობას.

**„წიგნი, რომელსაც ვაჟა-ფშაველას პრემია მიენიჭა, პასუხობს იმ საზოგადოებრივ რეზონანსს, კულტურულ ტრადიციას, იმ სატკივარს, რაც დღესაა.**

**ჩვენ ვცხოვრობთ იმ ქვეყანაში, სადაც ერთი თუ ორი თაობის წინ ჯერ კიდევ საშიში იყო წერა იმაზე, რაზედაც ფიქრობ. მიხეილ ჯავახიშვილმა და არაერთმა მისმა კოლეგამ, ქართველმა მწერალმა, ამ თავისი სიმართლის მტკიცებას, თავის ძიებას სიმართლისა, ღირსებისა, თავისი პიროვნული ღირსების, მწერლის ღირსებისა და ქართველი ერის ღირსების სიცოცხლე შესწირა. დღეს, რა თქმა უნდა, ასეთი სიტუაცია არ არის, მაგრამ დღეს წაკითხული წიგნი იმ დროზე, სადაც ძალიან საშიში იყო და სასიკვდილოდ საშიში იყო იმის თქმა, რასაც ფიქრობ, ნამდვილად სასარგებლოა“,** – განაცხადა პროფესორმა ზაზა აბზიანიძემ.

# კოლაუ ნადირაძე იატაკზე დაჩოქილი ჩურჩულებდა: „ავე მარია! ავე მარია“!..



1991 წლის მიწისძვრის შედეგად დანგრეული ეკლესია საჩხერეში.

**საქართველო ყოველთვის სეისმურად აქტიურ ზონაში იყო. ისტორიკოსები მიწისძვრებზე ცოტას წერენ და ხშირად გაზვიადებულადაც, მაგრამ მათი სიძლიერისა და ადგილმდებარეობის დადგენა მაინც შესაძლებელია. სეისმოლოგი ზურაბ ჯავახიშვილი, რომელსაც რადიო თავისუფლება ესაუბრა, საქართველოში მომხდარ იმ მიწისძვრებს ჩამოთვლის, რომელთა მაგნიტუდა 6-ს აჭარბებდა.**

## 11 ყველაზე ძლიერი მიწისძვრა საქართველოში

### თმოგვის მიწისძვრა

1088 წელს სამცხე-ჯავახეთში მოხდა მიწისძვრა, რომლის ინტენსივობა 9 ბალი იყო, მაგნიტუდა – 6.5. დავით აღმაშენებლის ისტორიკოსი წერს, რომ დაინგრა სახლები,



გორისციხე

ეკლესიები, თმოგვის ციხე, ბიძგები კი მთელი წელი გრძელდებოდა.

**„მთანი მაღალნი და კლდენი მყარნი სახედ მტუერისა დაიგალნეს, ქალაქნი და სოფელნი დაირღუეს, ეკლესიანი დაეცნეს, და სახლნი დაინთქნეს და დაზულეს, და იქმნეს საფლავ მას შინა მკჳდრთა. რომელთა თანა თმოგჳ-ცა დაიქცა და დაიპყრნა ქუეშე კახაბერი ძე ნიანიასი ცოლითურთ. და განგრძელდა ესე-ვითარი ძრვა ქუეყანისა საშინელი ვიდრე წელიწდამდის, რომელსა შინა მოსწყდა სიმრავლე ურიცხჳ“.**

### სამცხის მიწისძვრა

**ასეთივე მასშტაბის მიწისძვრა მოხდა სამცხეში 1283 წელს. მაშინ ვარძია ისე დაზიანდა, რომ დღემდე არ ვიცით, მისი თავდაპირველი სახე როგორი იყო.**

ისტორიკოსმა გურამ ყიფიანმა 2020 წელს რადიო თავისუფლებასთან საუბრისას აღნიშნა, რომ მიწისძვრამდე ვარძიის გამოქვაბულები დაფარული იყო პორტკულისით – ვერტიკალურად ჩასადგამი კლდოვანი კარით: **„ვარძიამ სულ 30 წელი იარსება პირვანდელი სახით, შემდეგ მიწისძვრამ დიაგონალურად ჩამოაქცია. თავიდან როგორი იყო, არ ვიცით და არც გვეცოდინება, რადგან ქართული საისტორიო წყაროები ამ კუთხით ძალიან მწირია“.**

### მიწისძვრები რაჭა-ლეჩხუმსა და კახეთში

**1350 წელს დამანგრეველი მიწისძვრა მოხდა რაჭა-ლეჩხუმში.** მის შესახებ ცნობები ძალიან მწირია.

შედარებით მეტი ვიცით 1530 და 1742 წლებში კახეთში მომხდარ მიწისძვრებზე, რომლებმაც ალავერდის გუმბათი ჩამოაქციეს. მიწისძვრა უფრო ძლიერი ყოფილა 1742-ში: **„მოხედა რისხუამან და შეიძრა ქუეყანა, და დაირღვა და შეიმუსრა ალავერდის ეკლესია“.**

### ახალქალაქის მიწისძვრა

**1899 წლის 19 დეკემბერს ახალქალაქში მოხდა მიწისძვრა, რომლის მაგნიტუდა 6.2, ბალი კი – 9 იყო. დაიღუპა 250 ადამიანი.**

ეს მიწისძვრა შეისწავლა გეოლოგმა ივან მუშკეტოვმა. თავის ნაშრომში ის აღნიშნავს, რომ ბიძგები მთელ სამხრეთ კავკასიაში იგრძნობოდა. იქვე ვკითხულობთ, თუ როგორ აღწერს მიწისძვრის პირველ წუთებს ადგილობრივი სასწავლებლის ინსპექტორი ტარასოვი: **„კვირა დღე იყო. მზის სხივები თოვლში გახვეულ ახალქალაქის პლატოსა და მთას ანათებდა... სადღესასწაულო კოსტიუმებში გამოწყობილი ადგილობრივები ქალაქში სეირნობდნენ, დუქნებთან და ყავახანებთან იყრიდნენ თავს. საყოველთაო მხიარულებაში საფრთხის მომასწავებელი არაფერი ჩანდა. მოულოდნელად, პირველ საათსა და ორმოცდაათ წუთზე, გაუგებარი ხმაური გაისმა, მას ძლიერი ბიძგები მოჰყვა. ხის სახლები ჭრიალით ირყეოდნენ. მძიმე ჭაღები ლამის ჭერს შეხეთქებოდნენ. კარები გაიღო, თაბაშირი ჩამოცვივდა... მიწისძვრამ წუთზე დიდხანს გასტანა“.**

### გორის მიწისძვრა

**გამოთქმა „რა გორელივით შუა გზაზე დადიხარ“, 1920 წლის 20 თებერვლის მიწისძვრას უკავშირდება. იმის შიშით თავზე რამე არ დაგვეცესო, ხალხი მაშინ მართლა შუა ქუჩაში დადიოდა. გორის მიწისძვრის მაგნიტუდა 6,2, ბალი კი 8-9 იყო. გორში თითქმის ყველა შენობა დაზიანდა, დაინგრა მიმდებარე სოფლები, დაიღუპა ასზე მეტი ადამიანი.**

მიწისძვრა მთელ საქართველოში იგრძნეს. პაოლო იაშვილის მეუღლის ნინო ტაბიძის მოგონებებიდან ჩანს, რომ ბიძგები ქუთაისშიც კი ძალიან ძლიერი იყო.

**„გადავწყვიტეთ სოფელში წავსულიყავით, ტიციანის დედასთან. გზად ქუთაისში შევუხვიეთ – ტიციანის დები და ძმები იქ ცხოვრობდნენ. სასტუმრო „ფრანციაში“ გავჩერდით... უეცრად მთელმა შენობამ ზანზარი დაიწყო, ხალხი სკამებიდან გადაცვივდნენ. პაოლომ დამტაცა ხელი და კართან მიმიყვანა, კოლაუ ნადირაძეს იატაკზე დაეჩოქა, თვალები ჭერისაკენ აღეპყრო და ჩურჩულებდა: „ავე მარია!, ავე მარია“!... დილით კი გავიგეთ, რომ გორში საშინელი მიწისძვრა ყოფილიყო და მთელი ქალაქი დაექცია“.**

### ტაბაწყურის მიწისძვრა

**1940 წლის 7 მაისის ღამეს მიწისძვრა მოხდა ტაბაწყურთან.**

ეს ტბა ბორჯომისა და ახალქალაქის მუნიციპალიტეტებში მდებარეობს. მიწისძვრის მაგნიტუდა 6.0, ბალი კი 8 იყო. დაიღუპა 35 ადამიანი.



მიწისძვრის კადრები 1991 წლის გაზეთებში.

### მიწისძვრა ჩხალთაში

**1963 წელს აფხაზეთში, სოფელ ჩხალთასთან მოხდა მიწისძვრა, რომლის მაგნიტუდა 6.2, ინტენსივობა კი 9 ბალი იყო.**

მიწისძვრისას სოფელში სახლები დაინგრა, მაგრამ მსხვერპლი არ მოჰყოლია.

### რაჭის მიწისძვრა

**საქართველოს ტერიტორიაზე ყველაზე მასშტაბური მიწისძვრა 1991 წლის 29 აპრილის შუადღეს მოხდა. მიწისძვრის მაგნიტუდა 6.9, ხოლო ინტენსივობა 9 ბალი იყო. ეპიცენტრი მდებარეობდა რაჭა-იმერეთში, თოფარა-საზვის ქედის აღმოსავლეთით.**

ამ დღის შემდეგ აღარ არსებობს საჩხერის რაიონის სოფელი ხახიეთი. მიწისძვრის შედეგად წარმოქმნილმა უზარმაზარმა მეწყერმა ოცკომლიანი დასახლება მთლიანად დაფარა. მიუხედავად იმისა, რომ მიწისძვრისა და განმეორებული ბიძგების გამო 250 ადამიანამდე დაიღუპა, მაინც მიიჩნევა, რომ **„ეს იყო უჩვეულოდ მძლავრი მიწისძვრა, უჩვეულოდ ცოტა მსხვერპლით“,** – გეოლოგი გიორგი დვალიშვილი ამბობს, რომ მსგავსი მასშტაბის რყევები დიდ ქალაქში ათასობით ადამიანს დაღუპავდა.

გიორგი დვალიშვილს ჩაწერილი აქვს ხახიეთის ერთ-ერთი მკვიდრის ხაჯუმარ გაგიევის მონათხრობი:

**„მეზობელ სოფელში ვიყავი და იქიდან ვბრუნდებოდი. სოფელს რომ მივუახლოვდი, აი, იქ (მთისძირზე) რაღაც უეცარმა ტალღამ დამარტყა და უმალ გაისმა კიდეც საშინელი გუგუნი. სიზმარში მეგონა თავი; მერე დავინახე, რომ შავი მთა, რომელიც, აი, იმ ადგილას იყო (ჩრდილო-დასავლეთისკენ), ჰაერში აიჭრა. მოპირდაპირე მხრიდან (ჩრდილო-აღმოსავლეთისკენ) კუდევის მთა წამოიმართა, ერთმანეთს ჰაერში შეასკდნენ და ხეობაში, სადაც სოფელი იყო, ისეთი ზათქით ჩაიშალნენ, რომ მიწისძვრამ მეც ჰაერში ამაგდო... ღმერთო, სიზმარი იყო ნამდვილად“.**

რაჭის მიწისძვრიდან წელიწადნახევრის შემდეგ, 1992 წლის ოქტომბერში, კიდევ ერთი მიწისძვრა მოხდა, ამჯერად ხევსურეთში, ბარისახოსთან. ამ მიწისძვრის მაგნიტუდა 6.5, ინტენსივობა კი 8 ბალი იყო. მიწისძვრას მსხვერპლი არ მოჰყოლია.

**თეა თოფურია,**
**რადიო თავისუფლების ჟურნალისტი.**

## ბოლო მონაცემებით, თურქეთში 24 000-ზე მეტი ადამიანი დაიღუპა, სირიაში კი – 4 500-ზე მეტი

**თურქეთსა და სირიაში მიწისძვრის შედეგად დაღუპულთა რაოდენობამ 29 000-ს გადააჭარბა. ბოლო მონაცემებით, თურქეთში დაღუპულია 24 617 ადამიანი, სირიაში კი 4 500, მათ შორის 2 167 ამბოხებულების მიერ კონტროლირებად ტერიტორიაზე. დაშავებულია ათობით ათასი ადამიანი. თურქული მედიის ინფორმაციით, მიწისძვრის შემდეგ ქვეყანაში 2 356 აფთერშოკი დადასტურდა.**

## ბიჭმა თავისი ოჯახის 8 წევრი გადაარჩინა, თვითონ კი დაიღუპა

**თურქეთში მომხდარი დამანგრეველი მიწისძვრიდან მეხუთე დღეს, მაშველები უწყვეტ რეჟიმში ცდილობენ გადარჩენილების პოვნას.**

დიარბაკირში, ცენტრალურ რაიონში მცხოვრები ტაშების ოჯახიდან 8 ადამიანის გადარჩენა მოხერხდა, თუმცა, დაიღუპა 12 წლის რიუზარ ტაში, რომელმაც სიკვდილამდე ოჯახის წევრების სიცოცხლე იხსნა. **„12 წლის რიუზარ ტაშმა, რომელსაც მიწისძვრის დროს არ ეძინა, როგორც კი ძლიერი ბიძგები იგრძნო, დედ-მამა და თავისი ექვსი და-ძმა გააღვიძა. მისმა ხუთმა ძმამ შენობიდან გაქცევა მოასწრო, მისი და, დედ-მამასთან ერთად კი ნანგრევებში მოჰყვნენ და დახმარების შემდეგ გამოაღწიეს იქიდან. თავად ბიჭი კი ნგრევას ვერ გადაურჩა“,** – წერს თურქული მედია ოჯახის წევრების მონაყოლზე დაყრდნობით.

## თურქეთმა სომხეთთან საზღვარი გახსნა

**ბოლო 35 წლის განმავლობაში პირველად, თურქეთმა სომხეთთან საზღვარი გახსნა. მიზეზი მიწისძვრის შედეგად დაზარალებულებისთვის ჰუმანიტარული დახმარების მიწოდება გახდა. სომხეთში თურქეთის დესპანმა „ტვიტერის“ გვერდზე სატვირთო ავტომობილების ფოტოები და ვიდეო ატვირთა, წარწერით: „ყოველთვის მემახსოვრება სომეხი ხალხის მიერ გამოგზავნილი გულუხვი შემწეობა მიწისძვრის მიერ დაზარალებულ თურქეთში. ეს ჩვენი ხალხის ტკივილის შემსუბუქებისთვის გაკეთდა“.**

## ზაალ ანჯაფარიძე:

# თუ საქართველო სამოქალაქო ომის მორევში ჩაეშვა, მსხვილ ეკონომიკურ პროექტებზე საუბარი ზედმეტია

(მეხუთე გვერდიდან)

ან, შეიძლება თვლიან, რომ სანიკიძემ და ჩალაძემ ამით ხელისუფლების წისქვილზე დაასხეს წყალი, „ნაცმოძრაობა“ კიდევ ერთხელ წარმოაჩინეს როგორც რადიკალური და კონფლიქტისკენ მიდრეკილ ძალად. ეს აწყობს „ქართულ ოცნებას“, რომ ამომრჩეველს დაანახოს, აი, როგორი არის რადიკალური ოპოზიციის სახე.

**– თქვენი აზრით რა გადაწყვეტილებას მიიღებს სტრასბურგის სასამართლო, სადაც რამდენიმე დღეში უნდა წავიდეს სააკაშვილის საქმე.**

– სტრასბურგის სასამართლოს აქვს ასეთი წესი, რომ გამოიტანოს სასწრაფო გადაწყვეტილება, როგორც ეს გააკეთა თავის დროზე „რუსთავი 2“-თან დაკავშირებით. მაგრამ რა გადაწყვეტილებას მიიღებს ამ შემთხვევაში, ეს არის ძალიან მნიშვნელოვანი. თუ, სტრასბურგის სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება, რომ სააკაშვილი საჭიროებს ქვეყნიდან გაყვანას, ხელისუფლება, ერთი მხრივ, იძულებული იქნება, რომ ამას დაემორჩილოს, მაგრამ იტყვის, რომ ეს არის სტარსბურგის სასამართლოს გადაწყვეტილება და ჩვენ სხვა გზა არ გვქონდა. მაგრამ, არის მეორე ალბათობაც – თუ ხელისუფლება კარგად იმუშავებს ამ მიმართულებით, შესაძლოა, სასამართლომ არ გაიზიაროს სააკაშვილის დაცვის არგუმენტები და არ მიიღოს ის გადაწყვეტილება, რასაც სააკაშვილის მხარე ელოდება. როგორც ჩანს, სააკაშვილის მხარე ელოდებოდა, რომ სასამართლო მიიღებდა იმ გადაწყვეტილებას, რაც მიიღო. სტრასბურგში გაგზავნილ ამ საქმეს ემთხვევა სწორედ სააკაშვილის ოჯახის მიერ დაქირავებული ლობისტური კომპანიის მიერ აგორებული საინფორმაციო კამპანია.

როცა სასწრაფო გადაწყვეტილება არის მისაღები, მოსამართლეები საქმის არსებით განხილვაში არ შედიან. „რუსთავი 2“-ს შემთხვევაში შეხედეს ისე, რომ თავისუფალ მედიას დახურვის საფრთხე ემუქრება და მიიღეს გადაწყვეტილება. ახლაც შეიძლება მოხდეს ისე, რომ ღრმად არ ჩაიხედონ საქმის დეტალებში და თქვან, რომ სააკაშვილი კვდება, მის სიცოცხლეს საფრთხე ემუქრება და საჭიროა მისი გადაყვანა. საინფორმაციო განწყობითი ფონი უკვე შემზადებულია დაქირავებული პიარ-კომპანიის მიერ. სტრასბურგშიც კითხულობენ გაზეთებს და იქაც ეცნობიან რა ინფორმაცია ქვეყნდება ინტერნეტში ამ კონკრეტულ საქმეზე. აი, ამაშია საფრთხე.

**ესაუბრა**
**თამთა ქარჩავა**



## პოლიციამ კიდევ ერთი ევროპარლამენტარი დააკავა

**კორუფციული სკანდალის ფარგლებში კიდევ ერთი ევროპარლამენტარი დააკავეს – იტალიის ევროპარლამენტარი ანდრეა კოცოლინო!..**



ადვოკატის განცხადებით, ევროპარლამენტარი საავადმყოფოდან აიყვანეს, სადაც გამოკვლევებს იტარებდა, ის ახლა უკვე სახლში – შინაპატიმრობაშია. როგორც ცნობილია, დაკავების ორდერი ბელგიის პოლიციამ გასცა. ამავე საქმის ფარგლებში ბელგიელი დეპუტატი მარკ ტარაბელა დააკავეს. გასულ ხუთშაბათს ევროპარალმანეტმა მარკ ტარაბელასა და კიდევ ერთ დეპუტატს, ანდრეა კოცოლინოს იმუნიტეტი მოუხსნა, რაც გამოძიებას საშუალებას აძლევს, საქმე სრულყოფილად გამოიძიოს. ბელგიური მხარე ევროპარლამენტარის ექსტრადირებას ითხოვს. ამ საკითხს სასამართლო 14 თებერვალს განიხილავს.

## სტოლტენბერგი შემოდგომიდან „გაქრება“...

**ნატოს გენერალური მდივანი იენს სტოლტენბერგი საკუთარი მანდატის გახანგრძლივებას არ აპირებს და თანამდებობას, როგორც დაგეგმილი იყო, მიმდინარე წლის შემოდგომაზე დატოვებს.** – ამის შესახებ ჩრდილოატლანტიკური ალიანსის წარმომადგენელმა, ოანა ლუნგესკუმ განაცხადა.

**„იენს სტოლტენბერგის მანდატი სამჯერ გახანგრძლივდა, მან გენერალური მდივნის თანამდებობაზე თითქმის 9 წელი გაატარა. მისი უფლებამოსილების ვადა ოქტომბერში იწურება და იენს სტოლტენბერგი ამ მანდატის გახანგრძლივებას არ აპირებს“,** – განუცხადა ლუნგესკუმ სააგენტო dpa-ს. ბოლოს 63 წლის სტოლტენბერგის უფლებამოსილების ვადა 2022 წლის მარტში გახანგრძლივდა.

## ბირთვული რაკეტები აღლუმზე

**ჩრდილოეთ კორეამ, სახელისუფლებო მედიის ცნობით, ღამის აღლუმზე ქვეყნისთვის რეკორდული რაოდენობის კონტინენტთაშორისი ბირთვული რაკეტები (ICBM) წარადგინა. გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებისა და სანქციების მიუხედავად, შარშან სახელმწიფომ თავისი ბალისტიკური რაკეტების პროგრამა განავითარა და ათობით რაკეტაც გამოსცადა.**

სახელისუფლებო მედიასაშუალება KCNA-ის მიერ გამოქვეყნებულ, ღამის აღლუმის ამსახველ ფოტოებზე თერთმეტი Hwasong-17 ჩანს, ჩრდილოეთ კორეის უდიდესი კონტინენტთაშორისი ბირთვული რაკეტა, რომელსაც, სავარაუდოდ, ბირთვული ქობინით, მსოფლიოს ნებისმიერ წერტილში დარტყმის შესაძლებლობა აქვს.



# „სიყვარული გზად და ხიდად!“

## ვლადიკავკაზის ქართული სკოლა - 135



**სასიქადულო მამულიშვილის მიხეილ ყიფიანის ცხოვრება და მოღვაწეობა თავისი ერისადმი თავდადებული სამსახურის, ოს-ქართველთა მრავალწლიანი თანაცხოვრებისა და მეგობრობის მარად წარუშლელი ნიშანსვეტია. იგი, წლების განმავლობაში, დაუღალავად იღვწოდა მაშინდელი თერგის ოლქის ქალაქ ვლადიკავკაზში.**

სწორუპოვარი ერისკაცის მონდომებითა და მიზანსწრაფული ძალისხმევით, ასრულდა კავკავის ქართველ მოსახლეთა ოცნება – **„1888 წელს პირველად დარეკა ვლადიკავკაზის ქართული სკოლის ზარმა, რომელმაც სწავლამოწყურებულ მოზარდებს ცეცხლი აკაკის, გმირი ვაჟას, ბრძენი ილიას...“ მშობლიურ ენაზე სწავლის დაწყება ამცნო და სკოლისკენ მიუხმო.**

ახალგახსნილი საგანმანათლებლო კერა აღსაზრდელთა გასაოცარი ნაკადით თანდათან იზრდებოდა. პატარა, ერთსართულიანი შენობა ვეღარ აკმაყოფილებდა ჩრდილოეთ კავკასიაში მოსახლე ქართველთა მზარდ მოთხოვნებს. საჭირო გახდა ახალი შენობის აგება. **ეს საშური საქმე გაითავისა სახელოვანმა პედაგოგმა და საზოგადო მოღვაწემ ლუარსაბ ბოცვაძემ. მისი შემართებითა და ქართველთა შემოწირულობებით, ვლადიკავკაზი მალე ორსართულიანმა კაპიტალურმა შენობამ დაამშვენა.** ახალ შენობაში, საკლასო ოთახებთან ერთად, განთავსდა მართლმადიდებლური ეკლესია, ქართული ბანკი, ჭრა-კერვის შემსწავლელი კურსები. ასევე, – სასცენო კლუბი, სადაც ხალხმრავალი წარმოდგენა-საღამოები იმართებოდა. „ამაგდარმა მასწავლებელმა 14 წელი იღვაწა და უკვდავი სახელიც დატოვა – ეს სკოლა ლუარსაბ ბოცვაძის ფილტვებით სუნთქავსო!“

აღნიშნულ ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლებელში მოღვაწეობდა მღვდელი გიორგი ნათაძე.

ნიშანდობლივია, რომ **სკოლის სარდაფში ჟანდარმერიას აღმოუჩენია არალეგალური სტამბა, სასტიკად დაურბევია, ხოლო აქტივისტები – ელენე ყაზახაშვილი და მისი მეუღლე იოსებ ბაბლიძე ციმბირში გადაუსახლებიათ.**

ამჟამად, ვლადიკავკაზის 135 წლის ქართული საშუალო სკოლა საგანმანათლებლო დარგის მოწოდების დონეზეა, – მოქმედებს სააქტო და ფიზკულტურის დარბაზები, თანამედროვე მოთხოვნებს შეესაბამება ლაბორატორია-კაბინეტები, კომპიუტერული ცენტრი და ა. შ. **იქ, სხვადასხვა დროს, სათანადო სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობა გასწიეს:**

პედაგოგიკის მეცნიერებათა დოქტორმა უშანგი ობოლაძემ, დამსახურებულმა მასწავლებელმა დიმიტრი ყიფიანმა, გამოჩენილმა მწერალმა ლევან გოთუამ, პედაგოგებმა ოლია ბაკურაძემ, თამარ ებრალიძემ, გერონტი მეტრეველმა, ეკატერინე ჩაველაშვილმა, სოფიო ელიაშვილმა, გოცა ხომერიკმა.

სკოლა სამართლიანად ამაყობს თავისი აღზრდილებით, – პროფესორი ვანო შადური, დოცენტი პავლე ღუდუშაური, პოეტები ალექსანდრე გომიაშვილი, აკაკი გეწაძე და სხვები.

ვლადიკავკაზის ქართული სკოლის 75 წლის იუბილეზე, გამოჩენილი მწერალი ლევან გოთუა წერდა: **„კავკასიონის პირიქითა მხარეში ამჟამად არ არსებობს უფრო დიდი და მნიშვნელოვანი კერა ქართული კულტურისა, ვიდრე თქვენი სკოლაა. მასწავლებელთა და მოსწავლეთა მთელი თაობა მოღვაწეობდა და აღიზარდა ამ შესანიშნავი სკოლის წიაღში.“**

„მეგობრობა გზად და ხიდად!“ – ეს შთაგონება აკავშირებდა მოყვასის მოსიყვარულე ქართველს მიხეილ ყიფიანს გამოჩენილ ოს პოეტ კოსტა ხეთაგუროვთან. ისინი ხშირად სტუმრობდნენ აკაკი წერეთლის სახელობის ვლადიკავკაზის №19 ქართულ საშუალო სკოლას და ოს-ქართველთა ახლო ურთიერთობაზეც არაერთხელ უმსჯელიათ.

საამაყო ერისკაცთა წრფელი მეგობრობის უტყუარი ნიმუშია 2001 წელს, ვლადიკავკაზის ქართული სკოლის შენობის ფასადზე გამოკრული მემორიალური დაფა მიხეილ ყიფიანისა და კოსტა ხეთაგუროვის გამოსახულებით. **დაფაზე ქართულ, ოსურ და რუსულ ენებზე ამოტვიფრულია: „ამ შენობაში ხვდებოდნენ ერთმანეთს ორი ერის ღირსეული წარმომადგენლები – მიხეილ ყიფიანი და კოსტა ხეთაგუროვი.“**

მემორიალური დაფის ავტორია ვლადიკავკაზელი ხელოვანი, რუსეთის დამსახურებული მხატვარი, კოსტა ხეთაგუროვის სახელობის პრემიის ლაურეატი ხ. ძგოევი.

ოსი ხელოვანის აღნიშნული ნიმუში მართლაც ქართველებისა და ოსების ახლო მეგობრობის გამოხატულებაა. მის შესახებ **სწორად განაცხადა ჩრდილოეთ ოსეთის – ალანიის მაშინდელმა პრეზიდენტმა ალექსანდრე ძასოხოვმა: „ეს ჩვენი სკოლაა. ჩვენ ვზრუნავდით და კვლავაც ვიზრუნებთ მასზე...“**

2002 წლის 15 ოქტომბერს ვლადიკავკაზის ქართულ საშუალო სკოლაში ზეიმით აღინიშნა ოსი ხალხის სათაყვანო შვილის კოსტა ხეთაგუროვის დაბადებიდან 142 წლისთავი. პედაგოგების, აღსაზრდელებისა თუ მოწვეულისტუმრების ყურს მოფონა პოეტის სიტყვები:

**„როგორც გორგასალს**
**ციდან ზარის ხმა,**
**ჩაესმა ჩვენს გულს შოთას**
**ძახილი,**
**მან მოგვცა ღონე ამირანისა,**
**კვლავ გაგვიახლდა**
**ძმობის წადილი!“**

გამოჩენილი პოეტის იმ საიუბილეო დღეს, ქართველი და ოსი ინტელიგენციის წარმომადგენლებმა ერთმანეთისთვის არც გული დაზოგეს და არც სიყვარული. **მოქანდაკე ხ. ძგოევმა, ქართული კულტურის დიდმა თაყვანისმცემელმა ხეში გადაადნო „ქართველი და ოსი ხალხის საუკუნეობრივი მეგობრობა. ვაზის ლერწით საიმედოდ შეკრა და ზემოდან ყურძნის მტევანთა დიადემა დაადგა.“**

მძიმე დღევანდელობიდან გამომდინარე, ეთნიკური დაპირისპირების გამო, როცა ჩატეხილია ხიდი ოს-ქართველთა შორის, თითოეული ჩვენგანის ვალია ერთურთს შემოვუძახოთ: „რაც მტრობას დაუნგრევია, სიყვარულს უშენებია,“ რამეთუ, სხვა გზა-სავალი, სხვა ხმა-ძახილი არსაიდან ჩანს. ჩვენ ხომ „ისევ ძმები ვართ ერთურთთან, გულის ფესვებით შეკრული!“

**როზერტ ოდიკაძე,**
**საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის ცხინვალის რეგიონული ორგანიზაციის თავმჯდომარე, რესპუბლიკის დამსახურებული ჟურნალისტი.**

◉ ფარის ქვეშ

# ევროპაშიც, ამერიკაშიც

**მას შემდეგ, რაც ვირტუსმა მრისხანე ბარსელონას კატალონიაში მოუგო, ევროლიგაში კიდევ რამდენიმე მნიშვნელოვანი გამარჯვება მოიპოვა და პლეი-ოფში გასასვლელად კარგი პლაცდარმი შეიქმნა, ამიტომ ჯგუფური რაუნდის ფინიშამდე რამდენიმე ტურით ადრე ესპანურ გრანდთან საპასუხო საშინაო შეხვედრის შედეგმა ყოფნა-არყოფნის დატვირთვა შეიძინა.**

სამწუხაროდ, ამჯერად ძალამ აღმართი მოხნა და სტუმრებმა უბრძოლველად აიღეს მტკივნეული რევანში – 92:75. სხვათა შორის, მიროტიჩმა და კამპანიამ ერთ ეპიზოდში 21:0 გაქცევა მოაწყო და 34 ქულით დაწინაურდა, ბოლონიელებმა კი მხოლოდ ბოლო პერიოდში შეძლეს ჩამორჩენის განახევრება.

იტალიური კლუბის ქართველი ლეგიონერი **თორნიკე შენგელია** პარტნიორებს 10 ქულითა და 4 მოხსნით შეეწია (17 წუთში), მერვედფინალის საგზურის დაუფლება კი, სავარაუდოდ, შეუსრულებელ მიზნად დარჩება.

ამასობაში ნბა-მ გაასაჯაროვა 30 კლუბის მწვრთნელის არჩევანი და დაასახელა სარეზერვო კალათბურთელები ყველა ვარსკვლავის მატჩისთვის, რომელიც 19 თებერვალს, როგორც უკვე გაუწყეთ, სოლტ ლეიკ სიტიში გაიმართება:




**დასავლეთი:** ჯორჯი (კლიპერსი), ალექსანდერი (ოკლაჰომა), ჯექსონი (მემფისი), ლილარდი (პორტლენდი), მარკანენი (იუტა), მორანტი (მემფისი), საბონისი (საკრამენტო).

**აღმოსავლეთი**: ადებაიო (მაიამი), ბრაუნი (ბოსტონი), დეროზანი (ჩიკაგო), ემბიდი (ფილადელფია), ჰალიბერტონი (ინდიანა), ჰოლიდეი (მილუოკი), რენდლი (ნიუ იორკი).

დავძენთ, რომ თამაშამდე რამდენიმე საათით ადრე ჯეიმსი და ანტენტოკუნმპო კაპიტნების დრაფტზე რიგრიგობით აირჩევენ მონაწილეებს და დააკომპლექტებენ გუნდების შემადგენლობებს.

და კიდევ – **გოგა ბითაძესთან** დაკავშირებული საინტერესო ინფორმაცია: ინდიანამ ქართველ ლეგიონერთან კონტრაქტი გაწყვიტა და იმ შემთხვევაში, თუ უახლოეს დღეებში მას რომელიმე ახალი კლუბი არ შეიძენს, დიდი ალბათობით, კარიერას ევროპაში გააგრძელებს.

დაგვეთანხმებით, ეს ვარიანტი ეროვნული ნაკრებისთვის სასიამოვნო სიახლე იქნება – თვის ბოლოს ხომ მას მუნდიალის შესარჩევი ტურნირის გადამწყვეტი შეხვედრები ელის და იქნებ გოგაც შეუერთდეს.

სხვათა შორის, ამ დღეებში საერთაშორისო გამოცდის ჩაბარება **გიორგი შერმადინსაც** მოუწია. საუბარია საკონტინენტთაშორისო თასზე, სადაც მისმა ესპანურმა კლუბმა ტენერიფემ ტუნისის მონასტირს 70(!) ქულით – 112:42 გადაუარა და ფინალში ბრაზილიურ სან პაულუს შეხვდება.

კუნძულელთაგან ნახევარფინალში ქართველ ცენტრს აფრიკელთა წინააღმდეგ თამაში მხოლოდ 11 წუთით მოუწია – 10 ქულა, 3 მოხსნა და თითო-თითო ჩაჭრა და დაფარება.

◉ ბრძოლა გრძელდება




# იდეა არ მოკვდარა!

**მადრიდის სასამართლომ დაადგინა, რომ იმ კლუბებს, რომლებიც 2021 წლის აპრილში ევროპის სუპერლიგის შექმნის იდეით გამოვიდნენ, უეფასგან სანქციები აღარ შეეხებათ, ოღონდ მიმდინარე სეზონის ბოლომდე, ვიდრე ამავე საქმეზე საბოლოო ვერდიქტს ევროსასამართლო არ გამოიტანს.**

ალბათ, გემახსოვრებათ 12 ბობოლას მიერ გამოცხადებული პროექტი, რომელმაც მხოლოდ სამი დღე იარსება, რადგან უეფას შესაძლო სანქციებისგან დაშინებული 9 გუნდი იდეას გაემიჯნა, ბარსელონა, რეალი და იუვენტუსი კი ისევ იბრძვიან ჩანაფიქრის განსახორციელებლად.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ახალ წლამდე ევროსასამართლომ განაჩენი უნდა გამოიტანოს გახმაურებულ საკითხზე, კერძოდ, გაარკვიოს – ფიფამ და უეფამ ბოროტად ხომ არ გამოიყენეს თავიანთი დომინანტური მდგომარეობა, როცა ჯერ დაბლოკეს სუპერლიგის შექმნა, შემდეგ კი იქ შემავალი კლუბებისთვის სანქციების დაწესება სცადეს. ასე რომ, ვერდიქტის გამოცხადებამდე უეფას არანაირი სასჯელის გამოტანა არ შეეძლება.

მადრიდის სასამართლოს გადაწყვეტილება მოიწონა კომპანია ა22-მა, რომელიც სკანდალური სუპერლიგის პროექტის აღორძინებაზე მუშაობს. მოვუსმინოთ მის აღმასრულებელ დირექტორს **ბერნდ რაიხარტს**: **„მივესალმებით იმ ფაქტს, რომ სასამართლოს ეს გადაწყვეტილება საშუალებას მოგვცემს თავისუფლად განვაგრძოთ მუშაობა ჩვენს პირმშოზე, რომელიც ახალ ევროპულ ტურნირს დააარსებს. კიდევ ერთხელ ვრწმუნდებით, რომ არ შეიძლება უეფას მონოპოლიური მდგომარეობა კლუბებისადმი მუქარისთვის იქნეს გამოყენებული. ამიტომაც ვთავაზობთ დიალოგს დაინტერესებულ საფეხბურთო მხარეებს, ასევე გუნდებს, ვინაიდან მათ უკვე აღარ ემუქრებათ სანქციები უეფას მხრიდან“.**

მოკლედ, ამიერიდან ნებისმიერ მსურველს თამამად შეუძლია შეუერთდეს მეამბოხე კლუბებს. ბუნებრივია, ისინი დროს უქმად არ კარგავენ და კოლექციას მორიგი ტიტულებით იმდიდრებენ.

ასე მაგალითად, მადრიდის რეალმა მეხუთედ მოიგო მაროკოში გამართული მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატი ისე, რომ ორ თამაშში მეტოქეებს 9(!) ბურთი გაუტანა, მათ შორის ფინალში საუდის არაბეთის ალ ჰილალთან დუბლი შეასრულეს ვინისიუს ჟუნიორმა და ვალვერდემ, ხოლო კიდევ ერთი გოლი ახალგამოჯანმრთელებულმა ბენზემამ გაიტანა – 5:3.

კი მაგრამ, სად იყო სამხრეთ ამერიკის წარმომადგენელიო – იკითხავთ, ალბათ. ლიბერტადორესის თასის მფლობელი ტურნირში ერთ-ერთი ფავორიტის რანგში ჩაება, მაგრამ ნახევარფინალში სწორედ აზიელებთან „დაწვეს“ მსაჯებმა ორი ფრიად საეჭვო პენალტით – 2:3, თუმცა ფლამენგომ მესამე ადგილი მაინც დაიკავა ეგვიპტის ალ აჰლისთან გამარჯვებით – 4:2.

◉ რინგზე

# დედა შვილს არ აიყვანს!..

**როგორც განთქმულმა ბრიტანელმა საკრივო პრომოუტერმა ფრენკ უორენმა განაცხადა, სერიოზული პროგრესია მიღწეული სუპერმძიმე წონაში უკრაინელი ალექსანდრ უსიკისა და ინგლისელი ტაისონ ფიურის ბრძოლის ორგანიზების საქმეში.**

სწორედ მათ ჩხუბში უნდა გაირკვეს მსოფლიოს აბსოლუტური ჩემპიონის ვინაობა უპრესტიჟულეს წონით კატეგორიაში.

**„29 აპრილს მეტოქეებს 100 პროცენტით ვიხილავთ რინგზე. რაც შეეხება ადგილს, იგი უახლოეს კვირაში გაირკვევა და იმ შემთხვევაში, თუ საუდის არაბეთი არ წარმოადგენს იმ პირობებს, რომელსაც მხარეები ითხოვენ, მაშინ დუელს გაერთიანებული სამეფო უმასპინძლებს“** – ეს ფრენკ უორენის სიტყვებია.

შეგახსენებთ, რომ WBA-ის, WBO-ისა და IBF-ის ტიტულების მფლობელ უსიკს პროფესიულ კარიერაში 20-ვე ბრძოლა აქვს მოგებული, ხოლო WBC-ის ვერსიით საჩემპიონო ქამრის კავალერ ნისლიანი ალბიონის წარმომადგენელს ასევე დაუმარცხებელი სტატისტიკა გამოარჩევს – 33 გამარჯვება და ერთადერთი ფრე. ასე რომ, დიდი ალბათობით, ამჯერად რომელიმე მათგანთან მიმართებაში ნავსი აუცილებლად



# ორიოდე სიტყვით



### რაგბი

**რაგბი ევროპის ჩემპიონატი. მე-2 ტური.** ნიდერლანდები – საქართველო 8:40 (პირველი ტაიმი – 3:12). აღსანიშნავია, რომ დუბლი გაჩეჩილაძემ შეასრულა, ხოლო ჭყოიძემ 30-წლიან ტურნირში ბორჯღალოსანთათვის ისტორიული – მე-500 ლელო გაიტანა.

### ფარიკაობა

**ვარშავა (პოლონეთი). მსოფლიო თასის ეტაპი.** სანდრო ბაზაძე – **ვერცხლი.** ხმლით ფარიკაობაში საერთაშორისო რეიტინგის პირველმა ნომერმა რუმინელ, ორ ფრანგ, ამერიკელ და იტალიელ მეტოქეებს სძლია, მაგრამ ფინალში ტურნირის აღმოჩენასთან, 25 წლის მასპინძელ კშიშტოფ კრაჩკოვსკისთან დამარცხდა – 13:15.



### ჩოგბურთი

**ლისაბონი (პორტუგალია). წყვილთა 40-ათასიანი ტურნირი.** ეკატერინე გორგოძე, ლეირე რომერო გორმა (ესპანეთი) – **პირველი ადგილი.** ფინალში შერეულმა დუეტმა მძაფრ ბრძოლაში სძლია კორტის მასპინძელს მატილდა ჟორჟესა და ხორვატ ტარა ვიურსის – 6:4, 2:6, 11:9.

# ხაზე სასარგებლო იდიოტია!

(მესამე გვერდიდან)

– უკიდურესად არასერიოზული იქნება თუ ჩვენ ვიფიქრებთ, რომ ევროკავშირის გადაწყვეტილებაზე შეიძლება ზემოქმედება იქონიოს ქართული მართლმსაჯულების პოზიციამ სააკაშვილის მიმართ. სააკაშვილი დღეს ფიგურა არ არის. რაც შეეხება კონკრეტულ განცხადებებს სააკაშვილის წამებაზე და იმაზე, რომ მას კლავენ, ეს არის დაფინანსებული მასალები. ეს არის ლობისტური განცხადებები. დაადონ ყადაღა ალასანიას ანგარიშებს, სხვათა შორის, ჩემ მიერ პროკურატურისთვის გადაგზავნილ მასალებში დევს ამის სამართლებრივი საფუძველი. დაადონ ყადაღა და დავინახავთ, რამდენ განცხადებას გააკეთებენ მერე ეს კოლექტიური კუზილიუსები. ნახავთ, გამარჯობასაც არ ეტყვიან სააკაშვილს. ქრთამი ჯოჯოხეთს ანათებსო, ხომ გაგიგიათ, ეგ არის. სააკაშვილს ვინც ახსენებს, ეგრევე უნდა გაიფიქრო, რომ ფული აქვს აღებული. იმიტომ, რომ იქ ასეთი იდიოტები არ არიან, იქ თანამდებობებზე ვერც სასარგებლო იდიოტებს იპოვი. მიშა გაათავისუფლეთ იმის გამო, რომ წონაში დაიკლო ამდენი კილოგრამიო, – ასეთ სისულელეს როცა პოლიტიკოსი ამბობს საერთაშორისო მოხმარებისთვის, პრესისთვის, ე.ი. ფული აქვს აღებული. ამაში სავსებით დარწმუნებული ვარ და ეს თქვა, გიული ალასანიამ. მან თქვა, რომ დაიქირავა იურიდიული კომპანია კი არა, ლობისტური კომპანია. მორჩა კინო. ეს არის ლობიზმი.

**– ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მიღება ქვეყნისთვის მნიშვნელოვანია. 12-პუნქტიანი გეგმის შესრულებაზე ბევრი ითქვა. რამდენად აშკარაა, ამ პროცესის ხელშეშლით უკრაინის ხელისუფლების დაინტერესება?**

– უკრაინის ხელისუფლებამ, რატომღაც, ერთ-ერთ პრიორიტეტად საქართველოს წინააღმდეგ მოქმედება აირჩია. ეს რომ ნამდვილად ასე იყოს, არ გამიკვირდება. მაგრამ უკრაინის ხელისუფლებას რა, თვითონ მას, ვინმე იღებს ევროკავშირში?! ახლა გაიმართა ევროკავშირ-უკრაინის სამიტი და არც ერთი განცხადება არ იძლეოდა მსგავსი დასკვნის გამოტანის საშუალებას, რომ უკრაინას ახლო მომავალში ევროკავშირში მიიღებენ. ცოტა ხანში, როცა რუსები კიევს აიღებენ, მერე თუ რუსეთს მიიღებენ, ეგ არ ვიცი, ეს სხვა საკითხია, მაგრამ ახლო პერსპექტივაში ეს არ ჩანს. ასევე, არ ჩანს ეს საქართველოსთვის. თუმცა, ჩვენ უნდა ვიცოდეთ და ხალხის ინფორმირებაც უნდა მოხდეს ასე, რომ იმ მომენტში, როცა გადაწყვეტილება უნდა მიიღოს, თუ ევროკავშირისთვის ეს საჭირო იქნება, სააკაშვილი ფეხებით რომ დაკიდო ნაძვის კენწეროზე, მაინც მიგიღებენ. ხოლო თუ ევროკავშირისთვის ეს ხეირიანი არ იქნება, მაშინ სააკაშვილი კი არა, სულ რომ ყირაზე დავდგეთ, მაინც არ მიგვიღებენ. ამიტომ არ შეიძლება ქვეყანამ იცხოვროს ასეთი იაფფასიანი შანტაჟისტების განცხადებებით და იმ დღის წესრიგით – 12 პუნქტი დაგვავალეს, საშინაო დავალება მოგვცეს. ეს ევროკავშირის მხრიდან უსამართლო საქციელი იყო. ეს იყო მცდელობა საქართველოს შიდა საქმეებში ჩარევის, როცა იმ ორ ქვეყანას მიანიჭეს კანდიდატის სტატუსი. ეს არაფერს ნიშნავს, მაგრამ ვითომ საქართველოს ოლიგარქიასთან დაკავშირებული მიზეზით უთხრეს უარი. უკრაინაზე უფრო ოლიგარქიული სახელმწიფო რომელია?! ანდა შეერთებული შტატების დღევანდელი პრეზიდენტის ქონებას გადახედეთ. ჯერ რა გარემოცვა ყავს და რა ამბავია მედიაში ატეხილი, ვინ ჭამს მილიარდებს.

**– ზემოთ თქვით, კიევს რუსეთი აიღებსო, ამაში დარწმუნებული ხართ?**

– არა, დარწმუნებული არაფერში უნდა იყო, მაგრამ თუ ასე გაგრძელდა, ალბათ, კიევს აიღებს და პოლონეთის საზღვარზეც განათავსებს ანტისარაკეტო და სარაკეტო სისტემებს. წინააღმდეგობა ყოველდღიურად ნაკლები აქვთ.

**– ფაქტია, ამერიკამ უკვე დაიწყო უკრაინის ომის მანძილზე გაწეული დახმარებების მიზნობრივად გამოყენების შესწავლა. გავრცელებული ინფორმაციით, ბევრი უკრაინელი მაღალჩინოსანი ჩემოდნებს ალაგებს და თანამდებობებს ტოვებს.**

– რასაც ახლა ვხედავთ, ეს არის მსხვერპლშეწირვის რიტუალი. ოღონდ ეს არის უკრაინელი საზოგადოების და თუნდაც, იგივე ამერიკელი საზოგადოების. მოდი ასე ვთქვათ – ზელენსკის ინტელექტზე მაღალი წარმოდგენის არ ვარ, მაგრამ მაგდენი ჭკუა კი ექნებოდა ზელენსკის, რომ სანამ რაიმეს ჭამას დაიწყებდა, იქ შეთანხმებული უნდა ჰქონოდა – ე.წ. ატკატის სისტემა, რომ შენთან ფული ჩამოვა, რაღაც პროცენტი უკან უნდა დააბრუნო. ეს სისტემა, თავის დროზე, საქართველოში ვნახე. როცა ჩვენ დახმარება 4,5 მლრდ მივიღეთ, ნაწილობრივ გრანტის და ნაწილობრივ კრედიტის სახით. 2008 წლის აგვისტოს ომის შემდეგ მივიღთ ეს თანხა და ეს სისტემა მუშაობს დღეს ყველგან, კოლექტიურ დასავლეთში. ჭაობს დავაშრობო, ტრამპი რომ იძახდა, ამ კორუმპირებული ჭაობის ამოშრობაზე იყო ლაპარაკი. მაგრამ ხომ ხედავთ, ის კორუმპირებული ჭაობი აუჯანყდა, თავისიანიც და სხვისიანიც და, ყველამ ერთად, კვანტი დაუდო მის პრეზიდენტობას. ის, რაც ახლა ხდება, ეს არის საჩვენებელი და ამის მიღმა იქ, რა თქმა უნდა, ძარცვა მიმდინარეობს. შეიძლება ვიღაცამ წვრილი ფული მოიპარა, მაგრამ ამათ ბევრი შეეჭამოთ ისე, რომ უფროსობასთან –კურატორებთან არ შეეთანხმებინოთ და რაღაც წილი არ მიეცათ, მე ასე არ ვფიქრობ. არა მგონია, ასე იყოს. განტევების ვაცი ხომ უნდა ვიპოვოთ, მარცხი ვიღაცას ხომ უნდა დაბრალდეს. მარცხისთვის ემზადებიან, ჩანს, ხომ?! შესაძლოა ზელენსკი ამას შეეწიროს. მაშინ წავა ის, როგორც კორუმპირებული. იცი რა, ძალიან ტრაგიკული მომავალი უჩანს ზელენსკის. წარმოიდგინეთ, ზელენსკი პრეზიდენტობიდან გადაყენებული და ცოცხალი, ამხელა ინფორმაციის მატარებელი. ნახევარი დედამიწისთვის, კოლექტიური დასავლეთის მთლიანი მმართველი ელიტისთვის საფრთხის მატარებელია. აქ მარტო ფინანსური ამბები კი არ გასკდება, ისეთი ამბებია... ანუ ასეთი ინფორმაციის მატარებელი ზელენსკი ან პრეზიდენტად უნდა იყოს და სულ გამოკიდებული, ან ხომ გესმით, ამის გამორიცხვა, რომ ახლა ამან პირი არ გააღოს, რომ არ განაწყენდეს, რთულია. სხვათა შორის, ზელენსკიმაც ისე წაიყვანა პოლიტიკა, როგორც მიშამ. ახლა ზელენსკის მსხვერპლის როლი აქვს და ამ კინოს დასასრული ხომ იცით. ტიპმა დაიწყო, როგორც მსხვერპლმა. აგერ, უსმინეთ ისრაელის პრემიერ-მინისტრმა, რა თქვა. პირდაპირ ილაპარაკა, ზელენსკი ელოდა, რომ მას მოკლავდა რუსეთის პრეზიდენტი და როგორც კი აიღო იქიდან პირობა, რომ ეს არ იქნებოდა, ზუსტად 2 საათში, ვციტირებ ისრაელის პრემიერ-მინისტრს, „გამოვიდა და დაიწყო ლაპარაკი, მე არ მეშინიაო, მანამდე კი დამალული იყო ბუნკერში“, – თან სიცილით, დამცინავად თქვა. ნამდვილად ნეგატიურად ვარ ზელენსკის მიმართ განწყობილი იმიტომ, რომ ძალიან ბევრი სისხლი დაღვარა, მაგრამ მაინც მეცოდება. ცუდი არაა, როცა შეცოდების გრძნობას არ კარგავ ადამიანი. ასეთი ნაძირალაც კი, როცა ხედავ რომ განწირულია, გეცოდება.

ესაუბრა
**შორენა კოწოწაშვილი**

## სპეციალური პენიტენციური სამსახური თურქეთის მოქალაქე პატიმრებს სატელეფონო სასაუბრო დროს დაუფინანსებს

**სპეციალური პენიტენციური სამსახური მწუხარებას გამოთქვამს თურქეთში მიწისძვრის შედეგად მომხდარი ტრაგედიის გამო და სოლიდარობას უცხადებს თურქ ხალხს. უწყების ცნობით, თურქი ხალხის მხარდასაჭერად სპეციალური პენიტენციური სამსახური გამოხატავს კეთილ ნებას და პარტნიორი სატელეფონო კომპანიის ხელშეწყობით საქართველოს პენიტენციურ სისტემაში მყოფ ყველა თურქეთის მოქალაქე ბრალდებულს/მსჯავრდებულს სატელეფონო სასაუბრო დროს დაუფინანსებს. თურქეთის მოქალაქე ბრალდებულებს/მსჯავრდებულებს შესაძლებლობა მიეცემათ, 60 წუთი უფასოდ ისაუბრონ და აღნიშნული სასაუბრო ლიმიტი შეხედულებისამებრ გამოიყენონ.**




**სანთელი**

## ავთანდილ (დავით) კალმახელიძე

# სიკეთიანმა კაცმა დაგვტოვა



**სიკეთე არ ისწავლება, უფრო ზუსტად, ძალიანაც რომ მოინდომო, ვერც ისწავლი და ვერც ასწავლი, ადამიანი ან არის კეთილი, ან – არა... სიკეთე განსაკუთრებული ნიჭია, რომლითაც სამწუხაროდ, ყველა როდია დაჯილდოებული.**

**კეთილი ადამიანი იყო ჩვენი ავთანდილ (დავით) კალმახელიძე, უწყინარი, ხალისიანი, იუმორით აღსავსე, თავის სატკივარს თავს არავის ახვევდა, პირიქით, თვითონ იყო ყველას მასპინძელი და ჭირისუფალი, ყველა სასიკეთო საქმის ინიციატორი და თავკაცი, ამიტომაც მის გვერდით თავს მშვიდად ვგრძნობდით. ის ყველას თანაბრად უნაწილებდა საკუთარი გულის სითბოსა და სიყვარულს. ყველაფერი გულთან მიჰქონდა, საოცრად განიცდიდა ქვეყნის ბედს, ამიტომაც სადაც ყველაზე უფრო საჭიროდ მიაჩნდა თავი, ყოველთვის იქ იდგა, განურჩევლად ვითარების სირთულისა...**

**ბატონი ავთანდილი თავად ამბობდა ხოლმე, ადამიანისთვის განგებას არ მიუცია იმის უფლება, რომ აირჩიოს დაბადების დრო, სივრცე და ადგილი, ეს ბედისწერის ამბავიაო. ამით ხაზს უსვამდა იმას, რომ არ ნანობდა, სამოთხეში ვერ იცხოვრა! ასეთი მიდგომებით მოვიდა მასთან დიდი აღიარება და ზღვა სიყვარული...**

**ნათქვამია: „დიდი გონების წინაშე თავს დაბლა ვხრი, დიდი კეთილშობილური გულის წინაშე მუხლს ვიყრიო“. თუკი დიდი ადამიანები მუხლს იყრიან კეთილშობილების წინაშე, ჩვენც უნდა მოვიდრიკოთ მუხლი ჩვენს სამეგობროს გამოკლებული კაცის წინაშე, ჩვენ უნდა ვიამაყოთ ასეთი ადამიანი რომ გვიმშვენებდა გვერდს. კაცი, რომელმაც დაიწყო რიგითი გამომძიებლობიდან და ათეული წლების განმავლობაში რაიონის პროკურორი და საქალაქო სასამართლოს თავმჯდომარე გახლდათ.**

**ავთანდილ (დავით) კალმახელიძემ გამოწვევებით სავსე და ცოდვებით დამძიმებულ დედამიწაზე ისე იცხოვრა, არც თავად გასვრილა და არც სხვის გაქილიკებაში გარეულა არასოდეს, მხოლოდ სითბოს და სიკეთეს ანაწილებდა, იყო მისაბაძი და სამაგალითო, ამით დაამახსოვრა ყველას თავი, ყველას საკუთარი სიკეთე უწილადა, თავის თავი მოამსახურა...**

**ბევრი წელი გავა, ბევრი დრო ჩაივლის, ბევრი რამ შეიცვლება, მაგრამ არ შეიცვლება ჩვენი მოგონება, მოგონება კეთილი, დიდსულოვანი კაცისა, რომელსაც შეეძლო მოესმინა, როგორც კოლეგისთვის, ისე სტუდენტისთვის, დიახ, მოესმინა, გაეგო, გაესიგრძეგანებინა ნათქვამი და საკითხის გადაჭრაში დახმარებოდა!**

**...შესანიშნავი თაობის შეთხელებულ სუფრას სიკვდილი შემოეჩვია. ხან ერთი გაიტყუა, ხან მეორე და აბა უკეთესს სად ნახავდა... ამჯერზედ ჩვენი უნივერსიტეტის სამართლისა და საერთაშორისო ფაკულტეტის საჯარო მიმართულების აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელი, პროფესორი, სტუდენტების საყვარელი მოძღვარი, კეთილშობილი, სიყვარულისთვის დაბადებული, დახვეწილი პროფესიონალი ავთანდილ (დავით) კალმახელიძე ამოარჩია! კაცი, რომელიც პირუთვნელად ემსახურა ირგვლივ მყოფებს, იცხოვრა ისე, როგორც უნდა ეცხოვრა და პირმართალი გაეშურა უფლისაკენ... წავიდა ბატონი დავითი მართალთა საბინადროში... დრომ მიისაკუთრა. ახლა დროდადრო გაგვახსენებს რომ გვერდს გვიმშვენებდა ყველასთვის საყვარელი და სასურველი, კეთილი და მართალი, ამავდროულად შეუცნობი და იდუმალი ადამიანი. წავიდა და... ჩვენ, გარშემო მყოფთ მისი არყოფნით გამოწვეული დარდი, სატკივარი და უკმარისობა დაგვამძიმებს, მაგრამ...**

**დარჩება სახელი და ერთგულებით ნაკეთები საქმეები, იცოცხლებს მოგონება... თავისივე ცხოვრების წესი და მისივე შექმნილი ბიოგრაფია დაამშვენებს მის მონაგარს. ნათელში იყოს, ნათელი კაცი!**

**დავით გურგენიძე, ირაკლი შოთაძე, ჯემალ გახოკიძე, კარლო კოპალიანი, ლევან კლიმიაშვილი, ზურაბ გასიტაშვილი, ირაკლი გაბისონია, თამარ წერეთელი, იაშა კუტუბიძე, დავით მახვილაძე, დავით ოქიტაშვილი, თამაზ ურთმელიძე, ბექა მაისურაძე, ნიკოლოზ ნებიერიძე, ნიკოლოზ აბრამიშვილი, ნინო ნიშნიანიძე, ალექსანდრე ტალიაშვილი, შოთა ფაფიაშვილი, ქეთი ქოქრაშვილი, მალხაზ ბაქალუა, ვაჟა პაპასკირი, ივანე ჯაგოდნიშვილი, რუსუდან ქუთათელაძე, თამარ ლომინაძე, ჯემალ გაბელია, რეზო მიშველაძე, სოფო მიდელაშვილი, მირანდა გურგენიძე, იგორ კვესელავა, ციალა გლოველი, თამარ კიკნაძე, ჯემალ ჯანაშია, ალექსანდრე სიჭინავა, ნანა ლომაია.**

# ქართული სტენდი ბერლინში, საერთაშორისო გამოფენაზე

**გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს მხარდაჭერითა და სოფლის განვითარების სააგენტოს ორგანიზებით, გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში, ქალაქ ბერლინში გამართულ საერთაშორისო გამოფენაში FRUITLOGISTICA 2023 თოთხმეტმა ქართულმა კომპანიამ მიიღო მონაწილეობა.**




სოფლის განვითარების სააგენტომ გერმანიის ეკონომიკურ გაერთიანებასთან თანამშრომლობით, გამოფენაზე ხილისა და ბოსტნეულის მწარმოებელი ის კომპანიები წარადგინა, რომელთა პროდუქტებიც ევროკავშირის სტანდარტებს სრულად აკმაყოფილებს.

საერთაშორისო გამოფენაზე FRUIT LOGISTICA 2023 საქართველოს სტენდზე წარმოდგენილი იყო კომპანიების: „აგროლეინის“, „ბლუბერდის“, „გოლდენ ფარმსის“, „ხონის პლანტაციების“, „როიალ ბერის“, FCO-ს, „სილქ აგრო ტექნოლოჯისის“, „ჰერბიას“, „ვეს ბესტ ბლუბერი პლანტის“, „მამბოფროსტის“, „სიდერის“, „ბლუ გოლდ ჯორჯიას“, „მწვანე მდელოს“ პროდუქცია.

აღსანიშნავია, რომ გამოფენაში მონაწილეობდა „იმერეთის აგროზონა“, რომელმაც სასათბურე მეურნეობების კლასტერის განვითარებისა და მებაღეობის სასწავლო-სადემონსტრაციო ცენტრის პროექტები წარადგინა. აღსანიშნავია, რომ „იმერეთის აგროზონის“ ორივე პროექტის მიმართ პოტენციური ინვესტორების მხრიდან მაღალი ინტერესი დაფიქსირდა. შეხვედრები გაიმართა ასევე მებაღეობის სასწავლო-სადემონსტრაციო ცენტრის როგორც არსებულ წევრებთან, ნიდერლანდურ კომპანიებთან, ასევე რამდენიმე გერმანულ, იტალიურ და დანიურ კომპანიასთან, რომლებიც ცენტრის წევრობით დაინტერესდნენ.

FRUIT LOGISTICA ევროპაში ერთ-ერთი ყველაზე მასშტაბური საერთაშორისო გამოფენაა და ერთ-ერთ ყველაზე მნიშვნელოვან პლატფორმას წარმოადგენს. გამოფენას ყოველწლიურად 80 000-ზე მეტი ვიზიტორი ჰყავს. წელს გამოფენაში მონაწილეობა 87 ქვეყანამ და სოფლის მეურნეობის სექტორში მოქმედმა 2 000-მდე ადგილობრივმა და საერთაშორისო კომპანიამ მიიღო. FRUIT LOGISTICA 2023 10 თებერვალს დასრულდა.

## ჯიმ კერის სახლი იყიდება



**მსახიობი ჯიმ კერი კალიფორნიაში, კერძოდ ლოს-ანჯელესში, მის საკუთრებაში არსებულ სასახლეს 29 მილიონ დოლარად ყიდის. გაყიდვის პროცესის ხელმძღვანელის ინფორმაციით, ბრენტვუდის უბანში მდებარე სასახლის ფართობი 12,700 კვადრატული ფუტია (1,179 კვადრატული მეტრი).**

ხუთი საძინებელი, ცხრა სააბაზანო, ჩოგბურთის კორტები, ეს ჯიმ კერის სასახლის მხოლოდ მცირე დახასიათებაა. თუმცა, აღნიშნულის გარდა, წარმოდგენილ სურათებში კარგად ჩანს თავად მსახიობის პერსონალური დამოკიდებულება ცხოვრებისადმი, ასევე მისი საკუთარი ხელოვნების ნიმუშებიც. მსახიობობის გარდა, ჯიმ კერი მხატვრობასა და მოქანდაკეობასაც ითავსებს, მისი ნამუშევრები კი აშშ-ისა და კანადის გალერეებშია გამოფენილი.

## კობი ბრაიანტის მაისური - აუქციონზე

**„ლოს-ანჯელეს ლეიკერსის“ სათამაშო მაისური, რომელსაც კალათბურთის აწ გარდაცვლილი ლეგენდა, კობი ბრაიანტი იმ სეზონში ატარებდა, როდესაც ის ეროვნული საკალათბურთო ლიგის ყველაზე ღირებულ მოთამაშედ (MVP) დასახელდა, Sotheby's-ის აუქციონზე 5.8 მილიონ დოლარად გაიყიდა. აღსანიშნავია, რომ სააუქციონო სახლი ნივთის გაყიდვას 7 მილიონ აშშ დოლარად იმედოვნებდა.**




Sotheby's-ის განცხადებით, აღნიშნული, 24-ნომრიანი მაისურით ბრაიანტმა 2007-2008 წლების სეზონში 20-ზე მეტი თამაში ჩაატარა. იმ წელს, როდესაც „ლეიკერსმა“ NBA-ის ჩემპიონის ტიტული „ბოსტონ სელტიკსთან“ დაკარგა, ბრაიანტი სეზონის MVP -იდ დასახელდა. მან ჯილდო სეზონში ჯამში 645 ქულის მოგროვებით დაიმსახურა – საშუალოდ 28.5 ქულა თითო მატჩში.

## ბარბარა ბრილსკა ფილმ „ბედის ირონიიდან“ წაშალეთო...

დუმის წევრს, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ოლგა ზანკოს სურს, ბარბარა ბრილსკა ფილმ „ბედის ირონიიდან“ წაშალონ.

**„ჩვენმა ქვეყანამ მას დიდება და პატივი მიანიჭა, მაგრამ ჩვენ, ასევე, შეგვიძლია მარტივად წავშალოთ ეს მსახიობი „ბედის ირონიიდან“,** – აცხადებს დუმის წევრი. მიზეზი ომის მოწინააღმდეგე მსახიობის, ლია ახეჯაკოვას მხარდამჭერი განცხადებაა – ბრილსკამ თქვა, რომ მან ქვეყანა უნდა დატოვოს.



**„ბედის ირონიის“ ვარსკვლავმა გააკეთა არჩევანი და შეურაცხყოფა მიაყენა მის რუს თაყვანისმცემლებს და მათ ღვთის დაწყევლილი ხალხი უწოდა“,** – განაცხადა სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ. „ბედის ირონიის“ ვარსკვლავმა ბარბარა ბრილსკამ რუსეთის სახალხო არტისტს ლია ახეჯაკოვას ურჩია დაეტოვებინა ქვეყანა მას შემდეგ, რაც ახეჯაკოვას მონაწილეობით სპექტაკლები ამოიღეს სოვრემენნიკის თეატრის რეპერტუარიდან.

**„ლეა, ასე გააგრძელე! რა თქმა უნდა, მან უნდა დატოვოს ქვეყანა. ეს კომუნისტები, ღმერთისგან დაწყევლილი ხალხი“,** – განაცხადა ბრილსკამ.

## ზემფირა აგენტების სიაში შეიყვანეს

რუსეთის იუსტიციის სამინისტრომ „უცხოელი აგენტების“ სიას რვა ადამიანის დაუმატა, მათ შორის, მომღერალი ზემფირა.

**„ღიად გამოდიოდა უკრაინის მხარდასაჭერად; სხვადასხვა ქვეყანაში საკონცერტო საქმიანობის განხორციელებისას გამოდიოდა სპეციალური სამხედრო ოპერაციის საწინააღმდეგო მოწოდებებით; მხარდაჭერას იღებდა უცხოური წყაროებიდან“. ამავე სიაში მოხვდნენ პოლიტიკოსები დმიტრი გუდკოვი და აბბას გალლიამოვი, ლგბტ აქტივისტი ალექსანდრა კაზანცევა, ფონდის „არა ძალადობას“ ხელმძღვანელი ანა რივინა, ჟურნალისტი სერგეი ასლანიანი, ანალიტიკოსი სერგეი შპილკინი და აქტივისტი ტატიანა ნაზამბაევი.**

# რუსეთის მოქალაქე უკრაინელი მეგობრის მოკვლას ცდილობდა...

**ნიუ-იორკის ქუინსის რაიონში რუსეთის 47 წლის მოქალაქის, ვიქტორია ნასიროვას სასამართლო პროცესი დასრულდა. ის ჩიზქეიქით მეგობრის უკრაინის მოქალაქის, ოლგა ცვიკის მოკვლას ცდილობდა, რომელიც ვიზაჟისტად მუშაობდა**



ნასიროვა ცვიკის მოკვლას და მისი სახელის მითვისებას აპირებდა, რადგანაც გარეგნულად მათ ერთმანეთს ძალიან ამსგავსებდნენ. სახელის შეცვლას ნასიროვა იმიტომ ცდილობდა, რომ რუსეთშიც მკვლელობაში იყო ეჭვმიტანილი და მასზე საერთაშორისო ძებნა იყო გამოცხადებული.

მოწამვლის მცდელობა 2016 წლის 28 აგვისტოს მოხდა. მაშინ ნასიროვამ დაურეკა ცვიკს და სასწრაფოდ შეხვედრა სთხოვა. ის ვიზაჟისტთან ჩიზქეიქით მივიდა, როდესაც ცვიკმა ნამცხვარი შეჭამა ის ცუდად გახდა და გონება დაკარგა. ამის შემდეგ ნასიროვამ ცვიკის თვითმკვლელობის ინსცენირება სცადა. გამომძიებლებმა ნამცხვრის ყუთზე ფინაზეპამის კვალი აღმოაჩინეს, რის საშუალებით დამნაშავეს სწრაფად მიაგნეს. ცვიკი გადარჩა და მან ნასიროვას წინააღმდეგ ჩვენება მისცა.

სასამართლომ ნასიროვა მკვლელობის მცდელობისთვის დამნაშავედ ცნო. განაჩენი 21 მარტს გამოქვეყნდება. მას 25 წლამდე პატიმრობა ემუქრება.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
ჭავჭავაძის გამზირი №17ე

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
599 36-00-35

მთავარი რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
597-22-07-04

ტექნიკური რედაქტორი
კახა ქორიძე

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო ასლანიშვილი
599 56-81-86;

გამომცემლები:
შპს 100 — ახალი „საქართველოს რესპუბლიკა“ გაზეთ „ საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
599 36-00-35
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79

იბეჭდება სტამბა „კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3
კოლორ ჯგუფი

uac(უაკ)070.4(479.22) ს—323
2 009882 616932

ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

**გაზეთის მომდევნო ნომერი გამოვა ოთხშაბათს, 15 თებერვალს**

**უცხოური ვალუტის კურსი:**
აშშ დოლარი - 2.6670; ევრო - 2.8550;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.2292;
100 რუბლი - 3.6540; თურქული ლირა - 0.1416;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5688;
1000 სომხური დრამი - 6.7558

**ამინდი 13 თებერვლისთვის**

| | | | |
|---|---|---|---|
| **აღმოსავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | -6, | დღე +8 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -8, | დღე +2 |
| **დასავლეთი საქართველო:** | | | |
| ბარი - | ღამე | 0, | დღე +7 |
| მთიანი რაიონები - | ღამე | -5, | დღე +2 |
| თბილისი: | ღამე | -2, | დღე +7 |

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 599-79-76-79, 599-36-00-35
ელ. ფოსტა: sakresp@top.ge
და sakresp@mail.ru
ვებ-გვერდი: www.sakresp.ge